პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 1945 წ. № 196 (7411). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით. მოწინავე (1-ლი გვერდი).
კენიგსბერგში გაიხსნა წითელი არმიის გმირების ძეგლი (1-ლი გვერდი).
სახელმწიფო შრომითი რეზერვების 5 წლისთავი (1-ლი გვერდი).
დაუღალავად ვეწიოდეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას. „პრავდის" 1 ოქტომბრის მოწინავე (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ვ. ანთაძე. აჭარელ მეთამბაქოეთა მიღწევები (მე-2 გვერდი).
ქ. აფრიდონიძე. მ. ი. კუტუზოვი მალოიაროსლავეცის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
საშემოდგომო ხვნა-თესვა (მე-3 გვერდი).
ვ. გელაშვილი. შეხვედრები წალვერში (მე-3 გვერდი).
ეთნოგრაფიული ექსპედიციები მთიულეთსა და ზემო სვანეთში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავი.

საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადება, რათა ოქტომბრის დღეები აღნიშნოს ახალი გამარჯვებებით მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე. მთელს ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია ტრადიციული საოქტომბრო შეჯიბრება. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თაოსნობას იჩენენ მრავალ დარგში, კისრულობენ ახალ ვალდებულებებს და აჩაღებენ ბრძოლას მათი ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

წელს საბჭოთა ხალხი პირველად აღნიშნავს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს მშვიდობიან პირობებში სამამულო ომის შემდეგ. იგი კანონიერი სიამაყით გაიხსენებს იმ პერიოდს, როცა მრისხანე ვითარებაში განაგრძობდა საოქტომბრო თარიღისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, წითელ არმიას აწვდიდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო ფაშისტური ურჩხულის სრული განადგურებისათვის.

ომი გერმანიასთან და იაპონიასთან საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილი გამარჯვებით დაამთავრა. ჩვენ შევედით მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში. მეოთხე სტალინური ხუთწლედი, რომლის შესრულებისთვისაც უკვე დაირაზმნენ საბჭოთა კავშირის მშრომელები, კიდევ უფრო ძლიერს, აყვავებულს, კიდევ უფრო მიუვალ ციხესიმაგრედ გადააქცევს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს.

ახალი ვითარება ახალ სერიოზულ ამოცანებს აყენებს სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე. ეს სავსებით შეგნებული აქვთ საბჭოთა პატრიოტებს, რომლებიც საოქტომბრო შეჯიბრებით კისრულობენ ახალ საბრძოლო ვალდებულებებს.

საბჭოთა საქართველოს საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და დაწესებულებებში ფართოდ არის გაშლილი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში უდგანან პარტიული, პროფესიული, კომკავშირული ორგანიზაციები. შეჯიბრების უკვე პირველმა დღეებმა გვიჩვენეს დიდი წარმატება, გეგმის შესრულების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების ნიმუშები.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში შეჯიბრების გაჩაღებისთანავე დაიწყო აღმავლობა. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მექანიკურმა და საინსტრუმენტო საამქროებმა. კონკრეტული საბრძოლო ვალდებულებანი იკისრა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ. წლიურ გეგმას იგი შეასრულებს 20 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 10 პროცენტით, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას 5 და ელექტროენერგიის ხარჯვას 10 პროცენტით. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს საამქრო, რომლის უფროსია ბ. გრიგორიევი. დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ ვალდებულებებს სტახანოველები ვ. კორძაძე, გ. მელაძე, გ. გასიშვილი. ასევე წარმატებით მუშაობენ კომკავშირელი ქალების ნ. ალავიძისა და ბ. ბედენკოს ბრიგადები. ისინი ჩაბმული არიან ურთიერთ შორის საოქტომბრო შეჯიბრებაში.

შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა რკინიგზის ტრანსპორტზე. ჩვენი ტრანსპორტელები, რომლებმაც სამამულო ომის დღეებში არაერთხელ გამოიჩინეს თავი ფრონტისადმი დახმარების საქმეში, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი საწარმოო საჩუქარი მიუძღვნან დედა-სამშობლოს ოქტომბრის XXVIII წლისთავზე. სამგზავრო სამსახურის თბილისის განყოფილების მუშაკებმა წარმატებით დაიწყეს ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. რკინიგზის კვანძის ახალგაზრდა მუშებმა 24 სექტემბერს შეკრებაზე მიიღეს სპეციალური მიმართვა რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ახალგაზრდა მუშებისადმი—გააჩაღონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება სამშობლოსათვის ღირსეული საჩუქრების მოსამზადებლად.

რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში საწარმოები, კოლმეურნეობები, მტს-ები, საბჭოთა მეურნეობები გამოდიან საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით, აჩაღებენ ბოლშევიკურ ბრძოლას დავალებათა ვადამდე და სანიმუშოდ შესრულებისათვის. წარმატებით არის გაშლილი შეჯიბრება აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისის, გორის, ტყიბულის, ჭიათურის, ზესტაფონის და მთელი რიგი სხვა რაიონებისა და ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში.

ინდუსტრიული ქუთაისის ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიცაა სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგური, კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა, სექტემბრის დღეები ახალი საწარმოო აღმავლობით აღინიშნა. რიონჰესის კოლექტივმა სექტემბრის ორი დეკადის გეგმა 106,9 პროცენტით შეასრულა. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ 21 და 22 სექტემბერს დღიური დავალებები 10,4—19,2 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა. ფაბრიკაში გაიხსნა ფართო მოხმარების პროდუქციის ახალი საამქრო. 115 პროცენტით შეასრულეს ქუთაისელმა მეკონსერვეებმა სექტემბრის ორი დეკადის დავალება და აითვისეს ახალი ასორტიმენტის პროდუქციის — ლეღვის მურაბისა და ჯემის გამოშვება.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად დიდი საწარმოო აღმავლობა ახალ ამოცანებს აყენებს ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე. ისინი მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომით აღფრთოვანებას, წაახალისონ მოწინავენი, ფართოდ დანერგონ მათი გამოცდილება, უფრო მაღლა ასწიონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა. სამეურნეო ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ შეჯიბრება გაიშალოს მთელი ძალით, მიღწეულ იქნას ახალი გამარჯვებანი.

ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა, რომელიც ამჟამად დგას მრეწველობის მუშაკთა წინაშე, არის მუშახელის ნაკლებობის დაძლევა. მუშახელი არის, მაგრამ საჭიროა მისი მოზიდვა და ჩაბმა საწარმოს ცხოვრებაში. თითქმის ყველა საწარმოს ჰყავს არმიიდან დემობილიზებული, მაგრამ განა საჭიროა ვამტკიცოთ, რომ აუცილებელია ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელებს მუდმივი ცოცხალი კავშირი ჰქონდეთ დემობილიზებულებთან, რომ არსებითად მათზეა დამოკიდებული— ომგადახდილი მეომარი ისევ მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდება, თუ სხვაგან წავა სამუშაოდ?

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ჩვენ უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, ნედლეულის, დამხმარე მასალების, საწვავის, ელექტროენერგიის უსასტიკეს ეკონომიას, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები, ფართოდ დავნერგოთ სტახანოველთა გამოცდილება, სანიმუშოდ მოვაწყოთ სამუშაო ადგილები, გავაძლიეროთ ზამთრისათვის მზადების ტემპები.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები, საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ნამდვილად გადავაქციოთ მასობრივ მოძრაობად დიდი **სტალინის** მიერ მოცემული მითითებების წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ და საკეთილდღეოდ!

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომუნიკე

ლონდონი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). 1 ოქტომბერს საღამოს შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა ბ-ნ ბევინის თავმჯდომარეობით. შემდეგი სხდომა შესდგება 2 ოქტომბერს დილის 11 საათზე.

ცხაკაიას რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის კრეფის წლიური გეგმა 30 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400.000 კილოგრამისა მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 401.669 კილოგრამი ფოთოლი. მოკრეფილი ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისაა.

უშაფათის ჩაის ფაბრიკამ უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება შესრულა 300,8 პროცენტით. ფაბრიკამ გამოუშვა აგრეთვე 907 კილოგრამი „ექსტრა" ჩაი და 32 კილოგრამი—„საქართველოს თაიგული".

ჩაის კრეფა გრძელდება.

კენიგსბერგში გაიხსნა წითელი არმიის გმირების ძეგლი

კენიგსბერგი, 1 ოქტომბერი. (საქდესი). 30 სექტემბერს კენიგსბერგში შესდგა იმ გმირ-გვარდიელების ძეგლის საზეიმო გახსნა, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქისა და ციხის იერიშში.

დილიდან ცენტრალურ ქუჩებში სწორ რიგებად დაეწყვნენ ყველა გვარეობის ჯარის გვარდიული ნაწილები. გაშლილი საბრძოლო დროშებით დგანან ძეგლის საზეიმო გახსნის მოლოდინში კენიგსბერგის იერიშის მონაწილენი, რომელთაც საბრძოლო, დიდებით მოსილი გზა გაიარეს მოსკოვიდან ფრიშე-ნერუნგის ისარამდე —ჰიტლერელთა უკანასკნელ დასაყრდენამდე აღმოსავლეთ პრუსიაში. ქალაქის შენობებზე აღმართულა გრანიტის ძეგლის—ობელისკის წვერო.

დილის 11 საათისათვის იმპროვიზირებულ ტრიბუნაზე ძეგლის მახლობლად ადიან წითელი არმიის სახელგანთქმული გენერლები, მრავალრიცხოვანი სტუმრები, რომელთა შორის არიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პალეცკისი, ქალაქ მოსკოვის სვერდლოვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები.

11 საათზე მოედანზე გამოჩნდა გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი გალიცკი. მიიღო რა პატაკი პარადის სარდლის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ივანოვისაგან, იგი ავიდა ტრიბუნაზე და სიტყვით მიმართა გვარდიული ნაწილის მებრძოლებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ გამარჯვებისათვის.

ამხ. გალიცკი წინადადებას იძლევა აღნიშნულ იქნას საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნა. დაბლა იხრება დროშები. საზეიმოდ ჟღერს სამგლოვიარო მარში.

— საბჭოთა ხალხი, — ამბობს შემდეგ ამხ. გალიცკი, — არასოდეს არ დაივიწყებს სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულ მეომრებს, მათი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება წითელ არმიაში.

საბჭოთა კავშირის გმირთა—გვარდიის გენერალ-მაიორ გურიევის, გვარდიის პოლკოვნიკ პოლეცკის, გვარდიის მაიორ სერგეევის, რომელმაც თავისი ბატალიონი ორშიდან კენიგსბერგამდე მოიყვანა, მამაცი სანიტარის ოთხი ორდენის კავალერის ელენე კოვალჩუკის სახელებს მარად სიყვარულით წარმოსთქვამენ.

— გამარჯვების მზე,—ამბობს დასასრულ ამხ. გალიცკი, — ანათებს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქებს და სოფლებს, ველებსა და მთებს. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობის დღეები. საბჭოთა ხალხი გაათკეცებული ენერგიით შეუდგა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას! გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ სტალინს!

ამხ. გალიცკის საბოლოო სიტყვებს ფარავს მრავალხმიანი წითელარმიული „ვაშა".

საზეიმოდ გუგუნებს საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ქალაქში გაისმის საარტილერიო სალუტის მძლავრი ზალპები.

სიტყვას ამბობს ამხ. პალეცკისი. ლიტველი ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმება ყოფილი ბელორუსიის მე-3 ფრონტის მებრძოლ გვარდიელებს, საბჭოთა ლიტვის განმათავისუფლებლებს და კენიგსბერგის იერიშის გმირებს.

მხურვალე სიტყვებით მიმართავენ ჯარებს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი კოშევოი, სამხედრო საბჭოს წევრი გვარდიის გენერალ-მაიორი კულიკოვი და ქალაქ მოსკოვის სვერდლოვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელი ამხ. კირიანოვი.

ისმის ფანფარების საზეიმო ხმა.

გვარდიელები ძეგლს ხსნიან საბურველს და დამსწრეთა წინაშე გამოჩნდება დიადი 26-მეტრიანი ობელისკი, რომელსაც აგვირგვინებს ხუთქიმიანი ვარსკვლავი. მას ნახევარ წრედ შემოვლებული აქვს გრანიტის კედელი. ობელისკის კიდეებზე ამოკვეთილია წარწერა „საბჭოთა ხალხი თქვენ მოგიგონებთ სიყვარულითა და მადლიერებით. დიდება კენიგსბერგის იერიშის გმირებს!" და ქალაქისა და ციხისათვის წარმოებული ბრძოლის ეპიზოდების ბარელიეფური გამოსახულება. ძეგლის ძირას გრანიტზე ბრინჯაოს გვირგვინია წარწერით: „სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს სტალინისაგან", აგრეთვე ბრინჯაოს გვირგვინებია ბალტიისპირეთის 1-ლი, ბელორუსიის მე-3 ფრონტებისა და მე-11 გვარდიული არმიის სამხედრო საბჭოსაგან. კვარცხლბეკებზე დადგმულია საბჭოთა კავშირის გმირების გურიევის და პოლეცკის ბიუსტები.

გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს საზეიმო მარშს, ძეგლის წინ მოდიან ორგზის საბჭოთა კავშირის გმირ გენერალ-ლეიტენანტ კოშევოის, გვარდიის გენერალ-მაიორ ივანოვის და წითელი არმიის სხვა სახელგანთქმული გენერლების მეთაურობით ქვეითები, მეავტომატეები, მეტყვიამფრქვეველები, არტილერისტები, ტანკისტები.

გვარდიელთა საზეიმო მარში დამთავრდა საჰაერო პარადით. კენიგსბერგის თავზე ზუსტი მწყობრით ფართოდ გაშლილი ფრთებით გადაფრინდნენ ესკადრილიები.

მაიორი ლევან იოსების-ძე მეგრელიძე

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლატვიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქალაქ აუცეში, მიტავის ახლოს, ოფიცერთა სასაფლაოა, სადაც აღმართულია ობელისკი წარწერით: „გვარდიის ინჟინერ-მაიორი ლევან იოსების-ძე მეგრელიძე, დაიბადა 1906 წელს. 1945 წლის 4 მარტს დაიღუპა მამაცთა სიკვდილით გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ გმირს". საფლავი დაფარულია ყვავილებით. ადგილობრივი მოსახლეობა სათუთი მზრუნველობით უვლის დაღუპულ ოფიცერთა საფლავებს, რითაც ცხადჰყოფს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას.

მაიორი მეგრელიძე დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

უკანასკნელი ცნობები

გაფიცვები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საქდესი). პრესის ცნობით, ქალაქ ნიუ-იორკის კომერციული შენობების 15.000 ლიფტიორმა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის მოთხოვნით შესწყვიტა გაფიცვა, რომელიც 6 დღეს გრძელდებოდა. ისინი დათანხმდნენ გუბერნატორის მიერ შეთავაზებულ არბიტრაჟზე და თხოვნით მიმართეს მას დანიშნოს არბიტრი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ტრუმენი ფიქრობს პირადად მიმართოს ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირს, რომელიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედის, მოწოდებით გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირის ლიდერებისა და მეწარმეების კონფერენციას არავითარი შეთანხმება არ მოჰყოლია. ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა გამოაცხადა, რომ მან კალიფორნიის უდიდეს დამოუკიდებელ ნავთის კომპანია „უილმაირ ოილ კომპანისთან" ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის 30 პროცენტით გადიდებას, და ეს ყველა კომპანიისაგან მოითხოვა. პროფკავშირმა გაფიცვა გააგრძელა „ატლანტიკ რეფაინინგ კომპანის" საწარმოებზე ქალაქ პორტ-არტურში (ტეხასის შტატი).

იტალიის ფაშისტურ-დივერსანტული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დაპატიმრება

რომი, 1 ოქტომბერი. (საქდესი). ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ მილანის პოლიციამ დააპატიმრა ფაშისტური პარტიის მდივნის პავოლინის მიერ 1944 წლის დამდეგს „მაქციათა" ჰიტლერული დივერსანტულ-ტერორისტული ორგანიზაციის ტიპის მიხედვით შექმნილი ფაშისტური ჯგუფის ხელმძღვანელები. ამ მოძრაობას, რომლის მოსაწყობადაც ფაშისტებმა 80 მილიონი ლირა გაიღეს, თავისი საიდუმლო ცენტრები ჰქონდა იტალიის ყველა პროვინციაში, კერძოდ რომში, ფლორენციაში, ნეაპოლში, ბარში. პოლიციამ ამ ორგანიზაციის მილანის არალეგალური ცენტრის სადგომში იპოვნა დანადგარები, რომელთა საშუალებითაც სწარმოებდა ინსტრუქციების გადაცემა ომის დროს მოკავშირეთა არმიების ზურგში იტალიაში მოქმედი მესაბოტაჟეთა ჯგუფებისათვის.

გერმანელი სპეციალისტების გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საარმიო ხელისუფალნი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰგზავნიან წამყვან გერმანელ მეცნიერთა და ტექნიკოსთა ჯგუფს სამხედრო და საზღვაო კვლევითს მუშაობაში დახმარების გასაწევად. ეს პირები, რომელთა სახელებიც აღნიშნული არ არის, არმიის მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. როგორც სამხედრო სამინისტრომ აღნიშნა, ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ „შესაძლებლობა მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს მთლიანად გამოიყენონ გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენანი, რაც აუცილებლად საჭიროა ნაციონალური უშიშროებისათვის".

სახელმწიფო შრომითი რეზერვების 5 წლისთავი

კრება კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში

შესრულდა ხუთი წელი „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოცემის დღიდან. ამ შესანიშნავ თარიღს მიეძღვნა შრომითი რეზერვების მოსკოვის საქალაქო და საოლქო სამმართველოების, საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მიერ 2 ოქტომბერს მოწვეული საზეიმო კრება.

კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მუშაკები და მოსწავლეები, ახალგაზრდა სტახანოველები და ოსტატები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ამ სასწავლებლებში სწავლობდნენ. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს ორდენები და მედლები — მთავრობის მაღალი ჯილდოები თავდადებული შრომისათვის სამამულო ომის დღეებში. დარბაზში არიან ახალგაზრდა მშრომელები, რომლებიც შეუფერხებლად ამარაგებდნენ წითელ არმიას საომარი მასალითა და საჭურვლით, იღებდნენ ქვანახშირსა და ნავთს, ადნობდნენ ლითონს, აშენებდნენ ქარხნების კორპუსებსა და საცხოვრებელ შენობებს, მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლები.

შეკრებილნი ალტაცებული ოვაციით შეხვდნენ წინადადებას საპატიო პრეზიდიუმში შრომითი რეზერვების შექმნის ინიციატორის ამხანაგ სტალინის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების არჩევის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. პ. გ. მოსკატოვი. დაწვრილებით ილაპარაკა რა ჩვენს ქვეყანაში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობისაგან ახალი მუშების მომზადების ორგანიზაციის ისტორიის შესახებ, მრეწველობისათვის საჭირო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ, ამხ. მოსკატოვმა საინტერესო ცნობები მოიყვანა. განვლილი წლების მანძილზე სახელმწიფო შრომითმა რეზერვებმა მრეწველობას, სარკინიგზო და საწყლო ტრანსპორტსა და მშენებლობებს გადასცეს 2.250.000 კვალიფიციური მუშა და მასობრივი პროფესიების მუშები. მარტო თავდაცვითმა საწარმოებმა 600.000-ზე მეტი კაცი მიიღეს.

ომის დღეებში შრომითი რეზერვების სასწავლებლების აღზრდილნი ბევრ ქარხანაში მომუშავეთა მთელი შემადგენლობის 70-მდე პროცენტს შეადგენდნენ. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის საქმეში. მარტო მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სასწავლებლებმა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა ნახევარი მილიარდი მანეთის თავდაცვითი პროდუქცია მოგვცეს.

დიდ მიღწევას წარმოადგენს ახალგაზრდობის საწარმოო სწავლება ნაციონალურ რესპუბლიკებში. ყაზახეთის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მომზადებულია 100.000, უზბეკეთისაში—70.000, თათრეთისაში—50.000 კვალიფიციური მუშა.

მომხსენებელმა მოიყვანა ახალგაზრდა სტახანოველთა შრომითი მამაცობის, სამშობლოსადმი მათი გმირული სამსახურის მრავალი მაგალითი.

პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განსაკუთრებული სიყვარულითა და მამობრივი მზრუნველობით ეკიდებიან მუშათა კლასის ახალ შევსებას. უკვე აღდგენილია გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სასწავლებელთა ქსელი. შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების საერთო რაოდენობა არა თუ არ შემცირებულა, არამედ 1.555-დან 2.570-მდეც კი გაიზარდა. სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადებისათვის ხუთი წლის განმავლობაში დახარჯულია 11 მილიარდი მანეთი.

ახლა დაიწყო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 450.000 მოსწავლის ახალი გაწვევა. ჩვენს ქვეყანას, რომელიც მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა, ახლა ყველა შესაძლებლობა აქვს გააუმჯობესოს ახალგაზრდა მუშების სწავლების ხარისხი, მათი ცოდნა უფრო მტკიცე გახადოს, წარმოების მომავალ მეთაურებს შეუქმნას საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობები.

კრებაზე გამოქვეყნდა ამხ. მ. ი. კალინინის მისასალმებელი დეპეშა და გადაცემულ იქნა ამხ. ნ. მ. შვერნიკის მისალმება.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. მისალმებები გაეგზავნათ აგრეთვე ამხანაგებს მოლოტოვსა და კალინინს.

დასასრულ შესდგა მხატვრული თვითმოქმედების დიდი კონცერტი. (საქდესი).

შრომითი რეზერვების მუშაკთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური აქტივის საზეიმო კრება

1 ოქტომბერს საღამოს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური აქტივის საზეიმო კრება, მიძღვნილი სახელმწიფო შრომითი რეზერვების ჩამოყალიბების ხუთი წლისთავისადმი.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები: გ. ზამბახიძე, მ. ბალავაძე, ე. ჩერქეზია, ბ. ლელინი, ვ. კუპრაძე, მ. ჩხეიძე, დ. მჭედლიშვილი, ა. ფარულავა და სხვ.

კრებამ ერთსულოვანი ტაშითა და ხანგრძლივი ოვაციებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია **ხალხთა ბელადი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი.**

დიდ ხანს გაგრძელდა ოვაციები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. დარბაზში გაისმოდა შეძახილები: **„გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს!", „ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს სტალინს, ვაშა!"**

საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები — **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჟდანოვი, ანდრეევი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი** და **ვოზნესენსკი.**

მოხსენება — „სახელმწიფო შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მუშაობა განვლილი ხუთი წლის მანძილზე და მათი ამოცანები მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში", — გააკეთა შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა მ. ჩხეიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების ნაყოფიერი მუშაობა განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში და ვრცლად შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც მათ წინაშე დგანან ახლა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში.

მოხსენების შემდეგ კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო ამხანაგ **სტალინისადმი** გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა აგრეთვე ქართველი ხალხის საამაყო შვილს, საბჭოთა კავშირის მარშალს **ლ. პ. ბერიას** და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს **კ. ნ. ჩარკვიანს.**

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა თვითმოქმედმა წრეებმა.

გზათა სახალხო კომისარიატის დროშა გამარჯვებულებს

1 ოქტომბერს თბილისის საორთქლმავლო დეპოს კლუბში შესდგა მეორთქლმავლეებისა და დეპოელების საზეიმო კრება, მიძღვნილი მათთვის გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშების გადაცემისადმი. ეს დროშები მათ მოიპოვეს აგვისტოში საუკეთესო მუშაობით.

გზათა სახალხო კომისარიატის სახელით გამარჯვებულებს დროშები გადასცა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ დ. ტაბატაძემ, რომელმაც შეკრებილთ მოუწოდა არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, იბრძოლონ ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

გარდამავალი წითელი დროშა ჩაიბარეს მეორთქლმავლეთა სახელით ს. ოდილავაძემ და დეპოს კოლექტივის სახელით—ი. ნუცუბიძემ. საზეიმო კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს და მიღებული საამაყო ჯილდოს შესანარჩუნებლად მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესება იკისრეს მოწინავე ლუნინელებმა — ბრიგადირმა მიხანაშვილმა, მემანქანეებმა — ნ. ყიფიანმა და ნ. ცხენოსანიძემ, გარეცხვითი რემონტის საამქროს უფროსმა ლეჟავამ და სხვ.

საზეიმო კრებაზე გამოაქვეყნეს იმ რკინიგზელთა სია, რომლებიც საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან „წარჩინებული რკინიგზელის" ნიშნებით.

საბჭოთა კავშირში



წელს სვერდლოვსკის ოლქში მთავრდება მანჩაჟის რაიონული ცენტრისა და რაიონის ყველა კოლმეურნეობის ელექტროფიკაცია. სურათზე: ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ე. ბერლანდისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბაქო. ბაქოელი ნავთის მუშაკები განაგრძობენ მოცდენილი ჭაბურღილების გამოცოცხლებას. მწყობრში ასობით კვლავ ჩამდგარი ჭაბურღილი მრეწველობას დამატებით აძლევს ათასობით ტონა მაღალხარისხოვან ნავთს. განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ტრესტ „ლენინნეფტში“. ამ ტრესტის მე-3 სარეწში წლის დამდეგიდან საექსპლოატაციოდ გადაცემულია 50 ჭაბურღილი, მე-4 სარეწში კი—16 ჭაბურღილი.

* * *

სტალინგრადი. 4 წლის შეწყვეტის შემდეგ მუშაობა განაახლა გორკის სახელობის საოლქო დრამატიული თეატრის თეატრალურმა სტუდიამ. სტუდენტთა სწავლის ვადა გადიდებულია 2-დან 3 წლამდე. მნიშვნელოვნად გაფართოებულია სპეციალური დისციპლინების სწავლების პროგრამა.

მუშაობა განაახლა აგრეთვე მუსიკალური კომედიის საოლქო თეატრთან არსებულმა ბალეტის თეატრალურმა სტუდიამ.

* * *

კიროვაბადი. (აზერბაიჯანის სსრ). კიროვაბადის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი სადგური დიდ მუშაობას ეწევა აბრეშუმის ჭიის ახალი, უფრო პროდუქტიული სახეების შესაქმნელად. სადგურის მეცნიერმა მუშაკებმა შეისწავლეს დაახლოებით 70 ჯიშის აბრეშუმის ჭია და გამოიყვანეს 6 ახალი სახის ჰიბრიდი, რომლებიც მიიღეს იტალიურ აბრეშუმის ჭიასთან აზერბაიჯანულის შეჯვარებით. ახალი აბრეშუმის ჭიის აბრეშუმის ძაფი მეტად მაგარია.

* * *

სტალინაბადი. რესპუბლიკის ღვინის ქარხნებმა დაიწყეს ახალი მოსავლის ყურძნის გადამუშავება. სეზონის განმავლობაში 3,5 ათასი ტონა ყურძნისაგან დამზადდება 235 ათასი დეკალიტრი ღვინო. სტალინაბადის, ფენჯიკენტის და ურა-ტიუბის ქარხნებმა უკვე გამოუშვეს სადესერტო ღვინოების პირველი პარტია.

* * *

ლვოვი. ლვოველმა ენერგეტიკოსებმა ორი თვის განმავლობაში დაამთავრეს 12 ათასკილოვატიანი ტურბგენერატორის მონტაჟი. წინათ ასეთი სამუშაოს შესასრულებლად ჩვეულებრივ საჭირო იყო 5-6 თვე. ახალი ტურბგენერატორის ამუშავებით ლვოვის ელექტროსადგურმა თავის ომამდელ სიმძლავრეს მიაღწია. (საკდესი).

გაიხსნა მოსკოვის ფიზიკური კულტურის პედაგოგიური სასწავლებელი

1 ოქტომბერს თავისი პირველი სასწავლო წელი დაიწყო მოსკოვის ფიზიკური კულტურის საქალაქო პედაგოგიურმა სასწავლებელმა. წელს ყველა სკოლაში 1-დან 10 კლასამდე შემოღებულია ფიზკულტურის კურსი. ახლადშექმნილი სასწავლებელი მათთვის მოამზადებს მასწავლებელთა კადრებს.

ახალი სასწავლებლის 1 კურსზე მიღებულია 150 კაცი, რომლებმაც შვიდი კლასი დაამთავრეს. სამი წლის განმავლობაში ისინი შეისწავლიან ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, გაივლიან გიმნასტიკის, სასპორტო თამაშობათა და მძლეოსნობის კურსს. პროგრამაში არის აგრეთვე პედაგოგიკა, ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა. (საკდესი).

სამი ტირაჟი

ოქტომბერში შესდგება სახელმწიფო სესხების მოგებათა სამი ტირაჟი. 5 ოქტომბერს კიევში ჩატარდება მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის მოგებათა ტირაჟი. 10 ოქტომბერს მოსკოვში შესდგება მოგებათა ტირაჟები: მეორე ხუთწლედისა (მე-4 წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხისა. (საკდესი).

გმირების შეხვედრა

შოსტკა (სუმის ოლქი), 1 ოქტომბერი. (საკდესი). სამ დღეს თანამემამულეთა შორის სამშობლო ობრაჟეევკაში სტუმრად იყო სახელგანთქმული მფრინავი—სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ივანე კოჟედუბი. აქ მოხდა გმირის სასიხარულო შეხვედრა მის მასწავლებელ ნინო ვასილის-ასულ ბაზილევიჩთან, რომელსაც თავისი მოწაფე 7 წლის ასაკიდან ახსოვს.

გამოსათხოვარ საღამოზე სოფელში ერთმანეთს შეხვდა ოთხი მეგობარი—სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი კოჟედუბი და საბჭოთა კავშირის გმირი ბოჩკი—ობრაჟეევკიდან, პეტრენკო და კამტანოვი-შოსტკიდან. ივანე კოჟედუბი თანასოფლელებს გამოეთხოვა და მოსკოვს გაემგზავრა სამხედრო-საჰაერო აკადემიაში სასწავლად.

კონკურსი საქალაქო და რაიონული საბჭოების შენობების პროექტებზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა კომიტეტმა და საბჭოთა არქიტექტორების კავშირმა გამოაცხადეს კონკურსი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების შენობების მასობრივი მშენებლობის ტიპური პროექტების შესადგენად.

კონკურსის პირობებით საქალაქო საბჭოს შენობის მშენებლობა ნავარაუდევია 50 კაცზე და რაიაღმასკომისა—100 კაცზე. საბჭოების შენობებს უნდა ჰქონდეთ კარგი არქიტექტურული გაფორმება—ტალანები, აივნები, სკულპტურა, ფერწერა და თავიანთი მონუმენტური ფორმით უნდა გამოირჩეოდნენ ქალაქის საერთო ანსამბლში.

კონკურსი ღიაა და გათვალისწინებულია მასში არქიტექტორების მიერ ფართო მონაწილეობის მიღება. კონკურსი ამა წლის 1 დეკემბრამდე გასტანს. (საკდესი).

აჭარელ მეთამბაქოეთა მიღწევები

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას აჭარის მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა ვალდებულება აიღეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 150 ტონა თამბაქო. ამ ვალდებულების შესასრულებლად ფართოდ გაჩაღდა მუშაობა.

ხულოს რაიონში მოწინავე არიან ყარადერეს სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები, რომელთაც 360.000 ზონარმეტრი თამბაქო უნდა შეეტეხათ. ეს დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული. 300.000 ზონარმეტრზე მეტი თამბაქო აიღეს დიოკნისის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა. თამბაქოს შეტეხა და ანემსვა კარგად მიდის აგრეთვე ჭვანის, დღვანის და შუახევის სასოფლო საბჭოებში.

ბათუმის რაიონის კოლმეურნეებმა ყუბანელთა მიმართვის პასუხად იკისრეს თამბაქოს ჩაბარება დაამთავრონ 25 ოქტომბრამდე.

აჭარისაღმართის სასოფლო საბჭოს (ბათუმის რაიონი) კოლმეურნეობა „ლენინიზმმა“ (თავმჯდომარე ფ. ნაგერვაძე) წელს უნდა ჩააბაროს 73 ცენტნერი ხმელი თამბაქო. უკვე ჩაბარებულია 41 ცენტნერზე მეტი. სტახანოველები ემინე და ნაფიე კახიძეები, ფადიმე ნაგერვაძე 200 პროცენტით ასრულებენ თამბაქოს შეტეხისა და ანემსვის ნორმებს. ამავე სასოფლო საბჭოს XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. მსხალაძე) გეგმით გათვალისწინებული 90.500 ზონარმეტრიდან უკვე აიღო 71.700 ზონარმეტრი თამბაქო.

კოლმეურნეობებში ახლა თამბაქოს მეხუთე და მეექვსე შეტეხა მიმდინარეობს. დადგა გეგმის შესრულების გადამწყვეტი დღეები.

ვ. ანთაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ხირსაში

სიღნაღი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლ. პ. ბერიას სახელობის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში რთველი გაჩაღდა. ხირსელები ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ. უხვად ასხია რქაწითელს, საფერავს, თავრიზულს, ხირსულას, კახურ მწვანეს. ყოველ დღე საშუალოდ 700 ცენტნერ ყურძენს ჰკრეფენ.

მესამე აგროუბნის (უფროსი აგრონომი დ. ალადაშვილი) დღემდე მოკრეფილ ნაკვეთებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 110 ცენტნერი ყურძენი, გეგმა კი 80 ცენტნერს ითვალისწინებს.

ყურძნის უხვ მოსავალს იღებს აგრეთვე მეორე აგროუბანი (აგრონომი ა. ავალიშვილი).

ყურძნის კრეფაზე ყოველდღიურად 250 მკრეფავი მუშაობს. მაგრამ ეს ცოტაა. დამატებით საჭიროა 100 მკრეფავი მაინც, რომ რთველი არ გაჭიანურდეს. ამ მხრივ მეტი მონდომება და მზრუნველობა მართებს მეურნეობის ხელმძღვანელობას (დირექტორი ამხ. შარაშიძე).

გ. ყაჯრიშვილი

კოსტრომელთა მოწოდების პასუხად

მახარაძე („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ კოსტრომელ კოლმეურნეთა შესანიშნავ ინიციატივას და ჩაებნენ შეჯიბრებაში. ძლიერდება მუშაობის ტემპები, რათა მომზადებული შეხვდნენ ზამთარს.

რაიონმა მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა ვადამდე 100,5 პროცენტით შეასრულა. ძროხისა და ხარის მოშენების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს სოფელ გურიანთის, განახლების, მელექედურის, ჭანიეთის, ქვედა ბახვის და შუა დვაბზუს კოლმეურნეობებმა.

სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კვაჭაძე) იკისრა პირუტყვის საზამთრო სადგომები 20 ოქტომბრამდე მოამზადოს, გეგმის გადაჭარბებით დაამზადოს 100 ცენტნერი თივა, 150 ცენტნერი უხეში საკვები, 5 პროცენტით გაადიდოს პირუტყვის სულადობა.

გურიანთელებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

ლ. ლოლაძე

კოსტრომული ჯიშის ხბოების ახალი წესით გამოზრდა კოსტრომის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ხბოები მოთავსებულია პატარა სადგომებში ჰაერზე.

ფოტო ი. კობზევისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

პარტიული ცხოვრება

გავაუმჯობესოთ მუშაობა პარტიული პროპაგანდის დარგში

(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი)

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმმა განიხილა რაიონში პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების საკითხი.

ორი ათას სამოცდაათი კაცი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მათ შორის ათასზე მეტი კომუნისტია. მიმდინარე წელს 368 კაცმა დაამთავრა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა და ხელი მოჰკიდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების დაუფლებას. ორი ათასსამასმა კაცმა შეისწავლა ამხანაგ სტალინის წიგნი — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ორი ათასზე მეტი განაგრძობს ამ ისტორიული ნაშრომის შესწავლას.

რაიონში აღრიცხული არიან საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელნი, კომუნისტებთან ეწყობა თეორიული საუბრები, თათბირები გამოცდილებათა გაზიარების მიზნით. პარტბიუროები ეხმარებიან, ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეში.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ლექციურ პროპაგანდას, რაც დიდად ეხმარება მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთ. ლექციები ტარდება მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე. სისტემატურად ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, როგორც რაიკომის პარტკაბინეტში, ისე საწარმოებსა და დაწესებულებებში. საწარმოთა პარტკაბინეტებში მორიგეობენ კონსულტანტები. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებულია მომხსენებელთა ჯგუფი, რომელიც რეგულარულად აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, სემინარებს, კონსულტაციებს და ამხანაგურ საუბრებს. მთელი რიგი ამხანაგები ამ ქარხნიდან დამოუკიდებლად კარგად ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს. მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილე ამხ. კაჭკაჭიშვილი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში ისე გაიზარდა, რომ ახლა ქარხნის პარტკაბინეტის მომხსენებელი — კონსულტანტია. წიგნზე კარგად მუშაობენ ამავე ქარხნის კომუნისტები მარიამული, მაისურაძე, ჩლაიძე და სხვები.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის კარგ ნიმუშებს იძლევიან ქარხანა „ცენტროლიტის“ კომუნისტები.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ასევე დამაკმაყოფილებელ შედეგებს მიაღწიეს საორთქლმავლო დეპოს, 26 კომისრის სახელობის, მეოთხე სავაგონო უბნის, თბილისის სამგზავრო სადგურის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

პლენუმზე აღინიშნა პროპაგანდისტული მუშაობის დარგში ჯერ კიდევ არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებები. ზოგიერთ ორგანიზაციას არა აქვს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა ზუსტი აღრიცხვა, მრავალი ამხანაგი ჯერაც არ გასცილებია „მოკლე კურსის“ პირველ თავებს. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიული აქტივისა და სამეურნეო მუშაკების დიფერენციული სწავლება. სათანადო ყურადღება არ ექცევა პარტკაბინეტების, ბიბლიოთეკების მუშაობას. არასაკმაოდ აშუქებს ადგილებზე პროპაგანდისტულ მუშაობას ძირეული პრესა. პროპაგანდის დარგში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სტრიკოტაჟო კომბინატის, შუშის ქარხნის, ავტო-სარემონტო ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ლექციები სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემაზე

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებასთან არსებული სალექციო ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ხასიათის ლექციების მოწყობას. მაღაროებსა და დაწესებულებებში ტარდება ლექციები თემებზე: „ადამიანის წარმოშობა“, „ამინდი და მისი წინასწარმეტყველება“, „დიდი გადატრიალება, რომელიც მოახდინა დარვინმა მეცნიერებაში“, „ფიზიკის თანამედროვე მიღწევები“.

ლექციები მოეწყო აგრეთვე შემდეგ თემებზე: „კავკასიის გმირული დაცვის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“, „საქართველოს გაერთიანებისა და თავისუფლების იდეა დ. გურამიშვილის შემოქმედებაში“, „დავით აღმაშენებელი“, „ა. სუვოროვი“, „ერეკლე მეორე და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ და სხვ.

ლექციებს კვალიფიციური ლექტორები კითხულობენ.

პ. ჟიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„პარტიული დავალება“

ჩვენი გაზეთის 18 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „პარტიული დავალება“. წერილი მიუთითებდა ბორჯომის პურის ქარხნისა და ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივანი ნ. რაზმაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის ბიურომ განიხილა ბორჯომის პურის ქარხნისა და სოფელ ბალანთის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მსმენელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მეცადინეობა დაიწყება ამა წლის 3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის შენობაში (ჭიჭინაძის ქ. № 1).

3 ოქტომბერს წაკითხული იქნება ლექციები:

საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში. თემა: „რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობა“ (ქართულ და რუსულ ენებზე). ლექტორები დოცენტი ი. ცინცაძე და პროფესორი ა. ფირცხალაიშვილი;

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში. თემა: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში (1883-1901 წ.)“, ქართულ და რუსულ ენებზე, ლექტორები დოცენტი ს. ლარცულიანი და ნ. მახარაძე;

დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში. თემა: „დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა“. (ქართულ და რუსულ ენებზე). ლექტორი დოცენტი ა. თავაძე.

დაუღალავად ვეწიოდეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა და ცხოველმყოფელობა თანამედროვე ისტორიის მთელი მსვლელობით არის შემოწმებული. ჩვენს ისტორიულ ეპოქაში საზოგადოების განვითარების გამოცდილებამ, რამაც მუშათა კლასის გენიალურ ბელადებს ლენინსა და სტალინს შესაძლებლობა მისცა განევრძოთ, განევითარებინათ და გაემდიდრებინათ მარქსიზმი ახალი აღმოჩენებით, ახალი დასკვნებით დაამტკიცა მეცნიერული სოციალიზმის უკვდავობა და სისწორე. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, საბჭოთა ქვეყანაში განხორციელდა სოციალიზმი. მარქსისტულ-ლენინური იდეები, რომლებიც მასებს დაეუფლნენ, მძლავრი მატერიალური ძალა გახდა.

თეორიის მაორგანიზებელმა და დამრაზმავმა როლმა დიდი სამამულო ომის დღეებში უდიდესი დადასტურება მიიღო. ფაშისტურ აგრესორებზე თავის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ გამარჯვებას საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს ბოლშევიკურ პარტიას, უნდა უმადლოდეს დიდ მეცნიერსა და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს.

ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს კადრებს შეუძლიათ დიდი და რთული ამოცანების გადაჭრა, თუ ისინი დაუფლებული არიან მარქსიზმ-ლენინიზმს, მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. ომმა გვიჩვენა იმ ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა, რაც პარტიამ ჩაატარა შვიდი წლის მანძილზე მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიის — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის შემდეგ. „მოკლე კურსმა“ სერიოზული როლი შეასრულა პარტიული და საბჭოთა კადრების, მთელი ჩვენი ინტელიგენციის იდეურ გამოწრთობაში, ინტელიგენციისა, რომელმაც ომის წლებში პირდაპირი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწია საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს. პარტიის ყოველდღიური პროპაგანდისტული მუშაობა, როგორც ომამდე, ისე მის დროსაც დაეხმარა ჩვენს კადრებს წარმატებით გადაეჭრათ ომიანობის დროის უძნელესი საკითხები.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუღალავი შესწავლა მთელი ჩვენი ინტელიგენციის წმიდა მოვალეობაა. მარქსიზმ-ლენინიზმი — შემოქმედებითი, მარად განვითარებაში მყოფი, წინ მიმავალი მეცნიერებაა, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება საზოგადოებრივი განვითარების ახალი გამოცდილებით. მისი დებულებები არ შეიძლება გადავაქციოთ მუდამ გამოსადეგ დოგმებად, არ შეიძლება მათი უბრალო შესწავლა და მექანიკურად გამოყენება. ჩვენი მეცნიერება — მთელი რუსული და მსოფლიო კულტურის მწვერვალია. მან შეიწოვა ადამიანის აზრის მიღწევები ისტორიული განვითარების მრავალი საუკუნის მანძილზე.

„კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, — ამბობდა ლენინი კომკავშირის III ყრილობაზე 25 წლის წინათ წარმოთქმულ სიტყვაში,—როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია“.

რაც უფრო მაღალია მუშაკის თეორიული მომზადების დონე, მით უფრო მაღალი მოთხოვნები უნდა წაუყენოს თავის თავს შემდგომი იდეური ზრდის მხრივ. არავის არ შეუძლია ჩასთვალოს ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულად მარქსისტულ-ლენინური განათლების მიღება. საზოგადოებრივი ცხოვრება წინ მიდის, მასთან ერთად წინ მიდის ჩვენი თეორიაც. ჩამორჩენა, ადგილზე გაყინვა — იმას ნიშნავს, რომ გადაიქცე „საქმოსნად“, პოლიტიკურ ობივატელად, ნიშნავს დაჰკარგო ახლის გრძნობა — ბოლშევიკის ძვირფასი გრძნობა.

ახლა, მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, ხელმძღვანელი საბჭოთა კადრების წინაშე დასმული ამოცანების სიდიადე მათგან მოითხოვს საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნას. ომის წლებში კი ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამხედრო და კულტურულ სამუშაოზე მოვიდნენ მრავალრიცხოვანი ახალი კადრები. მათ სჭირდებათ დაძაბული ყოველდღიური თეორიული სწავლა. ეს მოთხოვნილება პირველ რიგში ეხებათ პარტიის წევრებსა და კანდიდატებს. საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება ავალდებულებს მათ დაუღალავად იმუშაონ თავისი შეგნებულობის ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ათვისებისათვის. სამამულო ომის წლებში პარტია გაიზარდა 2 მილიონზე მეტი კაცით. ეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აქტივია, საბჭოთა სახელმწიფოს მოწინავე ადამიანები არიან. ისინი უნდა დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვეს. პროპაგანდისტ-მუშაკთა ამოცანას წარმოადგენს ამ გამოცდილების განზოგადება, მისი გადაცემა ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ მეთოდს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად კითხვისა და შესწავლის მეთოდი. ერთი წუთითაც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ კადრების თეორიული სწავლების ყველა დანარჩენი ფორმა —პარტიულ სკოლებში სწავლება, წრეებში მონაწილეობა, ლექციების მოსმენა, გასაუბრება, კონფერენციები — რჩება მხოლოდ დამხმარე ფორმად. წრის ვერავითარი ხელმძღვანელი, ვერავითარი ლექტორი ვერ შესცვლის წიგნზე ღრმა დამოუკიდებელ მუშაობას. მათ შეუძლიათ მხოლოდ დაეხმარონ თეორიის რთული საკითხების გარკვევაში, წარმართონ აზრი შესასწავლი თემის ძირითად, საკვანძო საკითხებისაკენ.

პრესა, როგორც არა ერთხელ მიგვითითებდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, გადამწყვეტ იარაღს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში, მაშინ, როცა სიტყვიერ პროპაგანდას დამხმარე ადგილი უნდა ეჭიროს. რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების რედაქციებმა უნდა გაიგონ, რომ მათი მოვალეობაა დაუღალავად დაეხმარონ ჩვენს კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში. საჭიროა პრესაში საუკეთესო პროპაგანდისტების ლექციების, კონსულტაციების, თეორიული სტატიების სისტემატური გამოქვეყნება.

არ უნდა დავივიწყოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლების მასობრივი პროპაგანდის საჭიროებაც მშრომელთა ფართო მასებში. ომის წლებში დიდი აქტივი გაიზარდა წითელ არმიაში, მრეწველობაში, კოლმეურნეობებში. სამშობლოს დამცველები, მუშები, კოლმეურნენი უდიდეს ინტერესს იჩენენ სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებისადმი. მათ სურთ იცოდნენ ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივები. მათ უნდა გადაუშალოთ კომუნიზმისაკენ შემდგომი თანდათანობითი მოძრაობის გზები. ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. ამ ხალხს ფართო დახმარება უნდა აღმოუჩინოთ პარტიულ სკოლებში და პოლიტსკოლებში ჩაბმით, მასობრივი პოპულარული ლექციების მოწყობით და სხვ.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“, ლენინისა და სტალინის შრომების, ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმა შესწავლა აიარაღებს ჩვენს კადრებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების, თანამედროვე მოვლენების, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების მეცნიერული გაგებით. მეცნიერების ამ დიად საგანძურიდან ცოდნის მიღების შესაძლებლობა — უდიდესი ბედნიერებაა თანამედროვე თაობის ადამიანებისათვის.

თეორიის შესწავლის მიზანია გამოიმუშაოს მთლიანი მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც საბჭოთა ადამიანს აძლევს ძალასა და რწმენას კომუნიზმის მშენებლობაში. კადრების იდეური გამოწრთობა შეიძლება მიღწეულ იქნას მარტო მწიგნობრული სწავლით კი არა, არამედ ჩვენი თეორიის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებით, მისი განხორციელებისათვის ბრძოლით. ჩვენს გზაზე მდგარი ყველა და ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევით.

მთელი პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაციისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიულ კომიტეტებს. პარტიული აქტივი, საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები და წევრები პირად მაგალითს უნდა იძლეოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იზრდებიან, არ შეუძლიათ წარმატებით აწარმოონ ხელმძღვანელი მუშაობა.

ლენინისა და სტალინის შრომების შესწავლა ჩვენს კადრებს აძლევს თეორიულ ცოდნას, ეხმარება გამოიმუშაონ საკუთარი მსოფლმხედველობა, ისწავლონ პარტიის დიდი ბელადების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ოსტატობა.

საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი ზრდისა და აყვავების, მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცების და ჩვენი კულტურის გაფურჩქვნის პირობას წარმოადგენს ხელმძღვანელი კადრების შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიით. „აქსიომად უნდა მივიჩნიოთ,—ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე,—რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები“. ლენინისა და სტალინის იდეების დროშით იმარჯვებდა და იმარჯვებს ჩვენი ქვეყანა. ლენინისა და სტალინის იდეების დროშით საბჭოთა ხალხი მიაღწევს ახალ დიად გამარჯვებებს მშვიდობიანი განვითარების პერიოდში.

„პრავდის“ 1/X მოწინავე

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ვინ აჯობებს?

ტყიბულელების მაჩვენებლები

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლენინის სახელობის შახტის მეოთხე უბნის კოლექტივმა (უფროსი ინჟინერი გ. ფანჩულიძე), რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივთან, სექტემბრის გეგმა შეასრულა 24 სექტემბრისათვის, ვადაზე 6 დღით ადრე. ტყვარჩელელებთან შეჯიბრების განმავლობაში ამ უბნის კოლექტივმა აითვისა ახალი ლავა.

უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა სტალინის სახელობის შახტის მესამე უბნის კოლექტივმაც (უფროსი მ. ვერულაშვილი), რომელიც ეჯიბრება ტყვარჩელელ ა. ჭირაქაძის უბნის კოლექტივს.

დ. ქათამაძე

კ. გოთუას უბანზე

ტყვარჩელი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). სტალინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბანზე უმაგალითო შრომითი აღმავლობაა. ამ უბანმა სამართლიანად დაიმსახურა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მოწინავე უბნის სახელი. მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა 8 თვის საწარმოო დავალება. წლის დასაწყისიდან 1 სექტემბრამდე უბნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მისცა 4.500 ტონა ქვანახშირი.

ამ უბნის კოლექტივის სახელით უბნის უფროსმა კ. გოთუამ ხელი მოაწერა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მეოთხე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. გოთუას უბნის მეშახტეები ამ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ბრძოლის ლოზუნგით მუშაობენ. სექტემბრის საწარმოო დავალება მათ შეასრულეს 4 დღით ადრე—26 სექტემბრისათვის.

ა. ლეფთერიძე

ტყიბულელებმა შეასრულეს სექტემბრის გეგმა

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). შეჯამებულია ტყიბულის შახტების მუშაობის შედეგები 1 ოქტომბრისათვის. სექტემბერში ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის მოპოვების თვიური გეგმა. განსაკუთრებით კარგად მუშაობდა სექტემბერში ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი (უფროსი ნ. კვინიხიძე, მთავარი ინჟინერი ს. ჯლამაძე, პარტბიუროს მდივანი ი. იოსელიანი), რომელმაც საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაუსწრო სტალინის სახელობის შახტისა და გელათის მაღაროს კოლექტივებს.

თბილისის ქაღალდის ფაბრიკამ შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი დ. ჭყონია, მთავარი ინჟინერი ა. სამარა, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ჩახვაძე) საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვა ახალი საწარმოო გამარჯვება — პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 1 ოქტომბრისათვის.

ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ფაბრიკას შესრულებული აქვს 103,9 პროცენტით, მესამე კვარტალის საწარმოო დავალება კი—129,5 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ფაბრიკისათვის საჭირო ნედლეულის დამზადების წლიური გეგმაც. ამჟამად ფაბრიკაში მუშაობენ წლიური გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვებისათვის.

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა. სტახანოველები ი. ხრომბიძე (მარჯვნივ), კ. ბიკოვა და გ. ჩიქოვანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

შეხვედრები წაღვერში

კოსტრომელ კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად თავდადებული მუშაობის აუცილებლობაზე ესაუბრებოდა მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს ირინე გოგოლაძე. ირინე დიდი ხანი არ არის, რაც წაღვერის (ბორჯომის რაიონი) 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში ფერმის გამგედ დანიშნეს. გამრჯე ქალმა თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და ფერმის მუშაკები მტკიცედ დარაზმა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

წელს ირინემ მთელი ზაფხული მთაში გაატარა. მთაში შეიტყო მტერზე გამარჯვების ამბავი. რას არ ფიქრობდა მაშინ ქართველი დედა!

1942 წლის გაზაფხულზე წითელი არმიის რიგებში გაისტუმრა თავისი ერთადერთი ვაჟი ვალიკო. იმავე წელს ვალიკომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოიწერა—„მტერს პირისპირ შევხვდით“. დედის გულს ამის შემდეგ აღარ მოუსვენია. შვილი ახალ-ახალი ქალაქებიდან იწერებოდა. დედა ფიქრებით ხაზავდა იმ საბრძოლო გზებს, რომლებითაც მისი ვაჟკაცი ლაშქრობდა.

— სევასტოპოლი ავიღეთ!—მოიწერა შარშან მაისში ვალიკომ.

ნაწილის სარდლობამ რამდენჯერმე გამოუგზავნა მადლობის წერილი ირინეს, მამაცი და გამბედავი შვილის აღზრდისათვის.

შემდეგ დაიწყო ბრძოლები ბელორუსიაში.

მაგრამ შორს წავედით...

ირინე ფერმის წინაშე მდგომ ამოცანებზე ლაპარაკობდა, რომ ახარეს —ვალიკო დაბრუნდაო. ბედნიერი დედა ვეღარაფერს ხედავდა, გარდა იმ გზისა, რომლითაც სახლში მიდიოდა.

შეხვედრა აუწერელი იყო.

ხილით დახუნძლულ ბაღში თავს იყრიდნენ მეზობლები. აქ გაარჩევდით მაღალი ტანის ოფიცერს, კოხტად გამოწყობილს, „წითელი ვარსკვლავის“ ორი ორდენი და ორი საბრძოლო მედალი რომ უმშვენებდა მკერდს. დედა ეხვეოდა პირმშოს. სიხარულის ცრემლები სცვიოდათ დამსწრეთ.

ოფიცერი მცირევადიანი შვებულებით დაბრუნდა მშობლიურ ოჯახში.

ჯერ ამ უბანში აღმაფრთოვანებელი შეხვედრებით გამოწვეული ღიმილი არ გაქრობოდათ სახეზე ადამიანებს, რომ ბავშვებმა ახალი ამბავი მოიტანეს:

— სერგოს პავლე მოსულა, ბიცოლა მინადორას სიხარულს საზღვარი არ აქვს, პავლე რომ ნახოთ, ვეღარ იცნობთ, ისე დავაჟკაცებულა.

ახლა მინადორა გელაშვილს ულოცავდნენ ვაჟკაცის დაბრუნებას—დედის გული სიხარულს ვეღარ იტევდა.

პავლემ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა, წითელ არმიაში ისე წავიდა, რომ დედას არ დამშვიდობებია. დედა სახლში ელოდა შვილს, წერილი კი ფრონტიდან მიიღო. მოულოდნელი იყო ეს დედისათვის. ასევე მოულოდნელი იყო შვილის დაბრუნება.

პავლესათვის სამედიცინო სამსახურის მაიორის წოდება მიენიჭებიათ. იგი მეთაურობდა სანიტარულ ბატალიონს. ცეცხლის ხაზზე ქირურგის დანით ებრძოდა სიკვდილს, სიცოცხლეს უნარჩუნებდა მამაც საბჭოთა მეომრებს. მარუხიდან სდია მტერს პავლემ გერმანიის ქალაქებამდე. მის მკერდს ამშვენებს სამამულო ომის II ხარისხის და „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები, ორი საბრძოლო მედალი.

მამაცი მაიორიც მცირევადიანი შვებულებით დაბრუნდა შინ.

საინტერესო სანახავია წაღვერი ამ დღეებში. მშრომელთა სიხარულს საზღვარი არა აქვს. წაღვერი ხვდება რჩეულ ვაჟკაცებს, რომლებსაც 5-6 წელია ელოდებოდნენ.

ვ. გელაშვილი

საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწსახკომის 1 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით
ჭიათური	39,4	ბორჯომი	0,3
საჩხერე	80,1	დუშეთი	30,0
ორჯონიკიძე	25,0	თეთრი წყარო	21,8
ონი	71,9	თიანეთი	27,9
ამბროლაური	27,4	გურჯაანი	3,1
ცაგერი	68,7	კაჭრეთი	3,0
ქვემო სვანეთი	26,0	სიღნაღი	21,1
ახალქალაქი	12,9	წითელწყარო	17,7
ახალციხე	8,7	თელავი	2,2
ადიგენი	3,6	ახმეტა	4,0
ასპინძა	5,2	ლაგოდეხი	17,9
ხაშური	13,1	თბილისი	31,4
ქარელი	12,4	მცხეთა	36,4
გორი	27,5	საგარეჯო	40,7
კასპი	8,3	ბაშკიჩეთი	27,6
		სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	3,8

საშემოდგომო ხვნა-თესვა

გამოვასწოროთ ჩამორჩენა

კაჭრეთი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოფელ ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სირაძე) ხვნისათვის კარგად ამზადებს ნაკვეთებს. აქ უკვე მოხნეს 139 ჰექტარი. ხვნის ხარისხი კარგია. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (თავმჯდომარე ა. მღებრიშვილი), სოფელ მახარაძის კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე ს. ბეჟოშვილი) კოლმეურნეობაში და ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენაში“ (თავმჯდომარე გ. შენგელიძე).

სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. გიგოშვილი) 13 სექტემბერს ტრაქტორისტი ა. დოლეენკო გაუწმენდავ ნაკვეთს 15-16 სანტიმეტრის სიღრმეზე ხნავდა, მაგრამ არც კოლმეურნეობის თავმჯდომარე და არც ბრიგადირი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. ასევე იყო სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ (თავმჯდომარე შ. ბარნაბიშვილი). აქ 14 სექტემბერს ტრაქტორით ამუშავებდნენ გაუწმენდავ ნაკვეთს. კოლმეურნეობას 15 სექტემბრისათვის 370 ჰექტარიდან მხოლოდ 70 ჰექტარი ჰქონდა მოხნული.

სოფელ არაშენდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 14 სექტემბერს ტრაქტორისტმა გეთიაშვილმა გუთანს წინასახნისები მოხსნა და უხარისხოდ ხნავდა. სანამ მტს-ის დირექტორმა არ შეამჩნია.

სამარცხვინოდ ჩამორჩა ამავე სოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. ბექუაშვილი), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 110 ჰექტარიდან 15 სექტემბრისათვის 10,9 ჰექტარი მოხნა.

საჭიროა გადამჭრელი ზომები ხვნის ტემპების გასაძლიერებლად და აგროწესების მტკიცედ დასაცავად.

ვ. ციხისთავი

რატომ არ მუშაობენ ტრაქტორები სრული ნაყოფიერებით

წითელწყარო („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). საშემოდგომო ხვნა-თესვას მოუმზადებელი შეხვდა წითელწყაროს მტს-ი. ტრაქტორები ხშირად ცდება სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო და სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელთა დაუდევრობით.

22 სექტემბერს 8 სატრაქტორო ბრიგადაში 27 ტრაქტორიდან 13 უქმად იდგა. ბრიგადირები მინდვრად იშვიათად არიან. მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გოგოლაშვილი 10 დღეა ბრიგადაში არ ყოფილა. შემოწმების დღეს მის ბრიგადაში 4 ტრაქტორიდან მხოლოდ ერთი მუშაობდა. მე-11 ბრიგადაშიც (ხელმძღვანელი ა. კუზმიჩოვი) დაბალია შრომის დისციპლინა.

მტს-ის უფროსი მექანიკოსი ნ. ვერბოვსკი მე-16 ბრიგადაშია გაფორმებული ბრიგადირად, ბრიგადას კი სინამდვილეში ა. თარხანოვი ხელმძღვანელობს. შოფერი მ. დარჩიაშვილი № 12 ბრიგადაში ირიცხება ბრიგადირად, სინამდვილეში ის დირექტორის მსუბუქ მანქანაზე მუშაობს.

განა შრომის ასეთი „ორგანიზაციით“ გაკეთდება საქმე?

გ. ყაჯრიშვილი

მოდის ახალი ჭარხალი

სტალინირი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ოლქის კოლმეურნეობებმა დაიწყეს შაქრის ჭარხლის შერჩევითი აღება. შედგენილია მოსავლის აღების კალენდარული გეგმები, გამოყოფილია ურმები, ჭარხლის დროულად გადაზიდვაში კოლმეურნეებს დაეხმარება 10 ავტომანქანა.

ლენინგორისა და ზნაურის რაიონებში ჰექტარზე საშუალოდ მოელიან 140 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ცენტნერისა.

ხაშურის რაიონის სოფელ აგარების კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარე ნ. ქელეხსაშვილი, გომის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მ. ჭანკოტაძე და რგოლის ხელმძღვანელი თამარ გობოზაშვილი ამოწმებენ შაქრის ჭარხლის სიმწიფეს.

ფოტო რ. აკოფოვისა

მ. ი. კუტუზოვი მალოიაროსლავეცის ბრძოლაში

„როგორ! მე მთავაზობენ ზავს! და ვინ? ის, რომელიც მიწასთან ასწორებს ხალხთა წმინდა უფლებებს! და სად? რუსეთში? არა, ეს არ იქნება, ვიდრე რუსეთში არიან რუსები!“

ასეთი პასუხი მისცა ფელდმარშალმა კუტუზოვმა ლორისტონს, რომელმაც მას გადასცა ნაპოლეონის წერილი საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ეს იყო 1812 წლის სამამულო ომის მძიმე დღეებში. ნაპოლეონი მოსკოვში იმყოფებოდა. კუტუზოვი ძალებს აგროვებდა მტრის გასანადგურებლად. იგი ამბობდა:—ჩვენს ხალხს ესმის ეს ომი, როგორც ჩინგის ყაენის თავდასხმა, და მაშასადამე, მტრისაგან თავის გადარჩენის ყოველგვარ საშუალებას სთვლის არამც თუ სათაკილოდ, არამედ წმინდად და სანაქებოდ.

კუტუზოვის სიტყვები ნაპოლეონის საზავო წინადადებაზე იყო პასუხი დიდი სტრატეგისა, რომელმაც კარგად იცოდა თავისი არმიისა და ხალხის ძალა, რომელსაც მტკიცედ სწამდა გამარჯვება. „თვით მოსკოვის ჩაბარებით მოვამზადებ მტრის დაღუპვას“,— განაცხადა კუტუზოვმა, როდესაც რუსეთის არმია სტოვებდა ცეცხლმოდებულ დედაქალაქს.

თავისი მხედართმთავრული გენიით კუტუზოვმა შესძლო არმიისა და ხალხის მოქმედების გაერთიანება მტრის განადგურების სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად.

მოსკოვის დატოვების შემდეგ კუტუზოვმა მოაჩვენა ნაპოლეონს, რომ იგი უკან იხევს რიაზანის გზით. მტერი შესცდა. კუტუზოვმა ბრწყინვალედ გამოიყენა მტრის ეს შეცდომა; სწრაფად შეაფასა ნაპოლეონის ძალების საერთო მდგომარეობა და აიღო მიმართულება ტარუტინოსაკენ. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ სრული არევ-დარევა შეიტანა მტრის ბანაკში.

ტარუტინოს მანევრი უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა სამხედრო ხელოვნებაში. მან რადიკალურად შესცვალა ომის მსვლელობა რუსეთის არმიის სასარგებლოდ.

სოფელ ლეტაშევკაში, ტარუტინოს ახლოს მოთავსდა კუტუზოვის შტაბი. პატარა სოფელი დროებით გახდა რუსეთის სამხედრო ცენტრი. დაიწყო გაცხოველებული მზადება მომავალი შეტევისათვის. დამუშავდა ნაპოლეონის უდიდესი არმიის განადგურების გეგმა.

ტარუტინო დიდ სტრატეგიულ უპირატესობას აძლევდა კუტუზოვს. არმიას მიეცა შესვენებისა და შევსების საშუალება, შესაძლებლობა დაეფარა მტრისაგან კალუგა და ტულა, რომლებიც წარმოადგენდნენ მომარაგების წყაროებს. ტარუტინო იყო სამხრეთის რაიონებთან კავშირის საუკეთესო საშუალება. ტარუტინოს მანევრმა კუტუზოვს გზა გაუხსნა მოეწყო პარტიზანული რაზმების მოქმედება ისე, რომ მტრის ხელში მყოფი კომუნიკაციები სმოლენსკიდან მოსკოვამდე მუდმივი დარტყმის საფრთხეში ყოფილიყო.

ამრიგად, კუტუზოვმა შექმნა მოსკოვში მტრის ბლოკირების ყველა პირობა და მოუსპო მას თავისუფალი მანევრირების შესაძლებლობა. მოსკოვი აღარ აძლევდა ნაპოლეონს არავითარ უპირატესობას. პირიქით, მოვლენები ისე ვითარდებოდნენ, რომ მოსკოვი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო ფრანგთა უდიდესი არმიისათვის. ამას გრძნობდა ნაპოლეონი და გამოსავალს მხოლოდ საზავო მოლაპარაკებაში ხედავდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, კუტუზოვს ზავის შესახებ მოსმენაც კი არ სურდა.

ყოველმხრივ იმედგაცრუებული ნაპოლეონი დაადგა უკიდურეს გადაწყვეტილებას: დაეტოვებია მოსკოვი. იგი ფიქრობდა გაჭრილიყო სამხრეთის რაიონებში, რომელთაც არ შეხებოდა ომი, მოემარაგებია არმია სურსათით და აღედგინა მდგომარეობა. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ნაპოლეონმა დაიწყო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის არმიის ავანგარდმა მიურატის მეთაურობით სასტიკი მარცხი განიცადა ტარუტინოსთან 1812 წლის 6 (18) ოქტომბერს. 7 (19) ოქტომბერს ნაპოლეონმა ბრძანება გასცა მოსკოვის დატოვების შესახებ. და საფრანგეთის არმია დაიძრა სამხრეთისაკენ კალუგის გზით.

დაიწყო ახალი ეტაპი 1812 წლის სამამულო ომის ისტორიაში. კუტუზოვი, მდგომარეობის შესაბამისად, გადადის თავდაცვიდან თავდასხმაზე. იწყება რუსეთის არმიის შეტევა, რასაც დიდი მხედართმთავარი ამზადებდა ბოროდინოდან მოყიდებული. როგორც კი ნაპოლეონი დაიძრა, კუტუზოვმა გაგზავნა გენერალი დოხტუროვი თავისი კორპუსით მალოიაროსლავეცისაკენ მტრისათვის გზის მოსაჭრელად. გენერალ დოხტუროვს მიჰყვა კაზაკთა ატამანი პლატოვი. 11 (23) ოქტომბერს კუტუზოვის არმიამ დასტოვა ტარუტინოს ბანაკი და დაიწყო მოძრაობა მალოიაროსლავეცისაკენ.

მოსკოვიდან გასვლისას ნაპოლეონი ცდილობდა გვერდი აექცია რუსეთის არმიასთან ბრძოლისათვის, მაგრამ იგი მაინც გაება კუტუზოვის მიერ დაგებულ მახეში. ორივე მხარის არმიები პირისპირ დადგნენ მალოიაროსლავეცთან და ახლა მხოლოდ ბრძოლას შეეძლო გადაეწყვიტა მათი ბედი.

ორივე მხედართმთავარს კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა. ორი სამხედრო გენია პირისპირ იდგა მალოიაროსლავეცში. მსოფლიო დაძაბული ადევნებდა თვალყურს მათ შებმას. კუტუზოვს გადაწყვეტილი ჰქონდა უკუეგდო მტერი დარბეული და განადგურებული გზით სმოლენსკისაკენ. ამისათვის საჭირო იყო სამხრეთით გასასვლელი გზების მტკიცედ ჩაკეტვა. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ეს ამოცანა კუტუზოვმა გადასწყვიტა მალოიაროსლავეცის ბრძოლაში. „კუტუზოვის მხედართმთავრული გენია ნაპოლეონის სამხედრო გენიაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა“ („პრავდა“).

მალოიაროსლავეცის ბრძოლის დაწყების წინ ფრანგთა სამხედრო ძალების განლაგება შემდეგ სურათს იძლეოდა: ბოროვსკში იდგა ნაპოლეონი და მისი გვარდია; ქალაქის წინ — მარშალი დავუ; არმიის ავანგარდი ევგენი ბოჰარნე — მალოიაროსლავეცში; მიურატი და ნეი ბოროვსკისაკენ მიემართებოდნენ; ჟიუნო მოჟაისკში იმყოფებოდა; პონიატოვსკი და ძორტიე სხვადასხვა მიმართულებით იყვნენ განლაგებულნი მალოიაროსლავეცისაკენ. ფრანგთა საერთო რიცხვი 110 ათასს კაცს შეადგენდა. რუსეთის არმია ამ დროისათვის კაზაკთა რაზმების გამოკლებით 97 ათასს კაცს უდრიდა.

12 (24) ოქტომბერს დაიწყო მალოიაროსლავეცის ისტორიული ბრძოლა. დოხტუროვმა ძალები გაგზავნა დელზონის წინააღმდეგ, რათა მისთვის არ მიეცა მალოიაროსლავეცში ფეხის მოკიდების საშუალება. ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ვიდრე ფრანგთა კორპუსის დანარჩენი სამი დივიზია ბრძოლის ველზე მივიდოდა, ქალაქი ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. ფრანგებმა ახალი ძალები გამოიყვანეს ბრძოლაში. რუსებმაც მიიღეს შევსება. ქუჩებში ხელახლა გაიმართა შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ გამარჯვებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. ბრძოლის დროს ნაპოლეონმა დაინახა, რომ ქალაქს კუტუზოვი უახლოვდებოდა.

კუტუზოვი მალოიაროსლავეციდან 5 კილომეტრის მოშორებით დაბანაკდა. ცოტაოდენი შესვენების შემდეგ რაევსკიმ მიიღო ბრძანება მალოიაროსლავეცის მიმართულებით განეგრძო გზა. მივიდა თუ არა რაევსკის კორპუსი დანიშნულების ადგილზე, ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა, რომელმაც გადასწყვიტა ქალაქის ბედი. იგი რუსებს დარჩათ. ეს იყო ქალაქის მერვედ გადასვლა ხელიდან ხელში.

ფრანგებმა სასწრაფოდ მიიღეს ღონისძიებანი მდგომარეობის აღსადგენად. მალოიაროსლავეცი კვლავ გახდა შეუპოვარი ბრძოლის ობიექტი. ამჯერად იგი ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, მაგრამ ფრანგებისათვის მას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. გააფთრებული ბრძოლის პროცესში კუტუზოვმა ძალები განალაგა კალუგის გზაზე და მტკიცედ ჩაჰკეტა სამხრეთისაკენ გასასვლელი. ამრიგად, მიზანი, რომელსაც კუტუზოვი ისახავდა ამ ბრძოლაში, მიღწეულ იქნა.

ძალთა განლაგება აიძულებდა ნაპოლეონს ბრძანება გაეგზავნა მარშალ დავუსათვის — მიეღო ავანგარდის უფროსობა და დალოდებოდა მის შემდგომ განკარგულებას. მარშალ ნეის ებრძანა — ორი დივიზიით წასულიყო მალოიაროსლავეცის მიმართულებით.

13 (25) ოქტომბერს ნაპოლეონი მალოიაროსლავეცისაკენ გაემართა რუსეთის პოზიციების დასათვალიერებლად. უეცრად მთელი მიდამოები აივსო კაზაკებით. მათი რაზმები თავს დაესხნენ ნაპოლეონის გვარდიას და წაართვეს 50 ზარბაზანი. თვით ნაპოლეონი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. იგი იხსნეს პოლონელმა შვოლოჟერებმა და გვარდიის ეგერებმა ტყვეობისა და სიკვდილის აშკარა საფრთხისაგან.

ამის შემდეგ ნაპოლეონს ტყვედ ჩავარდნის საფრთხე არ განშორებია. მან გვარდიის ექიმს იუვანს უბრძანა მოემზადებინა ძლიერი დოზით შემზადებული საწამლავი იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ გადაურჩებოდა რუსების ტყვეობას.

ნაპოლეონი დარწმუნდა, რომ სამხრეთისაკენ გზის გაკაფვა არც ისე ადვილი იყო. მან შემდეგ გაიგო, რომ, როცა ის მალოიაროსლავეცს ებლაუჭებოდა, კუტუზოვი სამხრეთისაკენ გასასვლელ გზებს ჰკეტავდა. ახლა ეს გზები ისე მტკიცედ იყო ჩაკეტილი, რომ მის გასარღვევად ნაპოლეონს ძალები აღარ ჰყოფნიდა.

კუტუზოვმა აიძულა ნაპოლეონი უკან დაეხია სმოლენსკისაკენ ომის მიერ განადგურებული გზით. ინიციატივა ახლა მტკიცედ იყო კუტუზოვის ხელში. ნაპოლეონმა ომი წააგო.

მალოიაროსლავეცის ბრძოლის შემდეგ კუტუზოვმა ბრძანებით მიმართა ჯარებს:

„ასეთი განსაკუთრებული წარმატებების შემდეგ, რომლებიც მიღწეულია ჩვენ მიერ მტერზე ყოველ დღე და ყველგან, რჩება მხოლოდ სწრაფად ვდევნოთ იგი და მაშინ შეიძლება რუსეთის მიწა-წყალი, რომლის დამონებაზეც იგი ოცნებობდა, მოიფინოს მისი ძვლებით“. ბრძანებას კუტუზოვი ამთავრებდა შემდეგი სიტყვებით: „ვიაროთ წინ, ჩვენთან არის ღმერთი, ჩვენს წინ — განადგურებული მტერი; დაე იყოს ჩვენს შემდეგ სიწყნარე და მოსვენება“.

კუტუზოვი კვალდაკვალ სდევნიდა მტერს. რუსეთის მიწა-წყალი მთლიანად განთავისუფლდა დამპყრობლებისაგან. რუსების არმია შევიდა ევროპაში, იხსნა მისი ხალხები ნაპოლეონის ბატონობისაგან. ტარუტინო და მალოიაროსლავეცი იყო ამ დიდი საქმის დასაწყისი, პარიზი — მისი დაგვირგვინება.

ტარუტინოს მანევრი და მალოიაროსლავეცის ბრძოლა სამართლიანად ითვლება სამხედრო ხელოვნებაში დიდ მიღწევად. ეს ორი უმნიშვნელოვანესი მომენტია 1812 წლის სამამულო ომისა. ამ ბრწყინვალე ოპერაციებით კუტუზოვმა ახალი ფურცლები ჩასწერა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, გაამდიდრა რუსული სამხედრო სტრატეგია ახალი მიღწევებით.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ჩვენმა ქვეყანამ მრავალი განსაცდელი გამოიარა. დიდი სამამულო ომის დროს, 1941 წლის მძიმე დღეებში, როდესაც გერმანელი ვანდალები მოსკოვს მოადგნენ, ამხანაგი **სტალინი** შემდეგი სიტყვებით მიმართავდა წითელი არმიის მეომრებს:

„დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“

წითელმა არმიამ, რომელიც მემკვიდრე გახდა რუსული სამხედრო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებისა, ისტორიაში უმაგალითო გამარჯვებები მოიპოვა ყველა დროის უდიდესი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ბრძენი **სტალინის** წინამძღოლობით. მან გაანადგურა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და იაპონელი იმპერიალისტები, ჩვენს მოკავშირეებთან ერთად მოქმედებით მისპო ომის კერა დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

საბჭოთა ქვეყანამ ახლახან აღნიშნა გენიალური მხედართმთავრის მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვის დაბადების 200 წელი. საბჭოთა ხალხი ღრმა პატივს სცემს კუტუზოვის ნათელ ხსოვნას და მას სამართლიანად სთვლის რუსული სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებლად.

კ. აფრიდონიძე

ამერიკელი კორესპონდენტი საბჭოთა კავშირის გეგმების შესახებ ტრიპოლიტანიის მიმართ

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ჩიკაგო სანის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი კენდრიკი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მოთხოვნა მისთვის სამეურვეოდ ტრიპოლიტანიის გადაცემის შესახებ, გამოწვეული არ არის კოლონიურ სახელმწიფოთა ჩვეულებრივი იმპერიალისტური მისწრაფებებით. პირიქით, „საბჭოთა კავშირს სურს მართოს ტიპური ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელიც ძველებური იმპერიალიზმის პროდუქტს წარმოადგენს, თუნდაც ათი წლის მანძილზე, პირველ რიგში იმისათვის, რათა ცხადჰყოს, თუ რის მიღწევა შეიძლება კოლექტიური მეურვეობის ახალი მეთოდებისა და ცალკეულ რასებსა და ეროვნებებს შორის ურთიერთობის შესახებ ახალი იდეების საშუალებით, რათა ეს ქვეყანა ჩიხიდან გამოიყვანოს... მოლოტოვის წინადადება ემყარება იმ შედეგებს, რაც მიღწეულია 25 წლის მანძილზე ცენტრალურ აზიაში ტაჯიკებისა და უზბეკების მიმართ, რომლებიც ტრიპოლიტანიაში მცხოვრებ არაბთა და ბერბერთა ძმები არიან".

კენდრიკის სიტყვით არავინ არ დაიჯერებს იმას, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს განზრახული აქვს კომუნიზმი შემოიღოს ლიბიაში, რამდენადაც მეურვეობა, თუ იგი გადაცემულ იქნა, ალბათ, განსაზღვრულ პირობებში გადაეცემა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი, მეურვეობას გაუწევდა რა ტრიპოლიტანიას, რომელიც ყოფილი იტალიის იმპერიის ყველაზე ჩამორჩენილ ნაწილს წარმოადგენს, ფართო შესაძლებლობას მიიღებდა ექსპერიმენტული მუშაობისათვის ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის, მაგალითად, მალარიასთან, კეთრთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის პრობლემა, აგრეთვე შესაძლებლობა ექნებოდა ფართო მასშტაბით გაეტარებინა ექსპერიმენტები ირიგაციისა და ბამბის მოყვანის საკითხებში.

ეჭვს გარეშეა, რომ პირველ რიგში სრული სამოქალაქო უფლებები მიენიჭებოდათ ბერბერებს, ტუარეგებს, არაბებს, ებრაელებსა და ზანგებს, რომლებიც ტრიპოლიტანიის მოსახლეობას შეადგენენ.

ამ მტკიცებას კენდრიკი უპირდაპირებს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელშიც ლიბიელი არაბები დახასიათებული იყვნენ როგორც „გაუსწორებელი ზარმაცები", ხოლო ბერბერები—როგორც „ევროპელ ხელისუფალთა მიმართ მკვეთრად მტრულად განწყობილნი", და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადმინისტრაცია ლიბიაში, უეჭველია, გავლენას მოახდენდა მეზობელ ქვეყნებზე — საფრანგეთის კოლონია ალჟირზე და ეგვიპტეზე. ამრიგად, კენდრიკი წინადადებას აძლევს დასავლეთის დემოკრატიებს შეეჯიბრონ ერთმანეთს დამოკიდებულ ხალხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში. ფინიკიელები, ბერძნები, ეგვიპტელები, რომაელები და სხვები—ყველანი გამოდიოდნენ როგორც ლიბიის მძლეველნი. საბჭოთა კავშირს პირველს სურს გამოვიდეს როგორც მისი მეგობარი.

მსოფლიო პროფკავშირულ კონფერენციაზე

პარიზი, 30 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დილით მსოფლიო პროფკავშირულმა კონფერენციამ მოუსმინა ალბანეთისა და ბულგარეთის დელეგატებს, რომლებიც მხურვალედ ლაპარაკობდნენ ერთიანობის საჭიროებაზე მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად და მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად.

ალბანეთის დელეგატმა განაცხადა, რომ ალბანელმა ხალხმა, რომელიც ხუთი საუკუნის მანძილზე იჩაგრებოდა, შექმნა სახალხო ფრონტი, სადაც ყველა მიმდინარეობისა და აზრის დემოკრატები შედიან, და მწუხარება გამოსთქვა, რომ მხოლოდ იუგოსლავიამ და ბულგარეთმა სცნეს ალბანეთის ახალი დემოკრატიული მთავრობა. დელეგატმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ალბანელი ხალხის გამცემნი ამჟამად რომის მდიდრულ ოტელებში ცხოვრობენ, და მოითხოვა სახალხო ტრიბუნალებისათვის მათი გადაცემა. დასასრულ მან განაცხადა, რომ ალბანეთის პროფკავშირები ზუსტად შეასრულებენ მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟუომ თავის სიტყვაში მოითხოვა სხვადასხვა ფედერაციებს შორის ყველა უთანხმოების შეწყვეტა და განაცხადა: „დაე უნდობლობა გაქრეს და ადგილი დაუთმოს ნდობას". ჟუომ სთქვა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებს შეუძლიათ არ შეასრულონ მუშათა ორგანიზაციების მოთხოვნები, თუ ეს ორგანიზაციები გაერთიანებული არ იქნებიან, იმ საბაბით, რომ ეს მოთხოვნები ერთნაირი არ არის სხვადასხვა ორგანიზაციების მხრივ.

შემდეგ გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგატი, რომელმაც წარმოსთქვა მიუნხენის ხელშეკრულების წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვა. დაჰგმო რა მიუნხენის ხელშეკრულება, რომელსაც „დემოკრატიის მიმართ ფარისევლობისა და გამცემლობის სიმბოლო" უწოდა, დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუნხენში ჩეხოსლოვაკია მსხვერპლად შესწირეს ფაშიზმს და ამან ფართო გზა გაუხსნა ფაშიზმის ექსპანსიასა და აგრესიას. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია გასცეს თავისი საზღვრების უდიდესი სიმაგრეებიანად. „ჩვენ ფიცსა ვდებთ,—განაცხადა დელეგატმა,—რომ მიუნხენი აღარ იქნება".

შემდეგ ავსტრალიის დელეგატმა ტორნტონმა კონფერენციას წარუდგინა სამანდატო კომისიის ანგარიში.

საბერძნეთის სამხედრო მინისტრის გადადგომის გამო

ათენი, 29 სექტემბერი. (საკდესი). საბერძნეთის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, სამხედრო მინისტრი მერენდიტისი გადადგა „იმ მიზეზის გამო, რომ ვერ შეუთანხმდა გენერალურ შტაბს და ინგლისის სამხედრო მისიას საბერძნეთის არმიის მართვის საკითხებში".

როგორც ცნობილია, მერენდიტისი ვულგარისის მეორე კაბინეტში იმ პირობით შევიდა, რომ პრემიერ-მინისტრი მიიღებდა არმიის რეორგანიზაციის მის გეგმას, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებდა გენერალური შტაბის ძალა-უფლების შეზღუდვას და მთავრობისადმი არმიის ფაქტიურ დამორჩილებას. სამხედრო მინისტრის ცდა—განეხორციელებინა ეს გეგმა, ერთბაშად წააწყდა მთელი რეაქციისა და გენერალური შტაბის წინააღმდეგობას. მონარქისტული პრესა მინისტრს ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი ცდილობს არმია ხელში გამოჰგლიჯოს „ნაციონალისტებს". მონარქისტები სწერდნენ: „ხელი შორს არმიისაგან" და მოითხოვდნენ „მერენდიტისი გაეგდოთ" მთავრობიდან. დემოკრატიული პრესა აღნიშნავს აგრეთვე: მერენდიტისი რამდენიმე სხვა მინისტრთან ერთად იმ აზრისაა, რომ ახლანდელ პირობებში სამართლიანი არჩევნების ჩატარება დეკემბერში შეუძლებელია.

ტრუმენის წერილი ეიზენჰაუერისადმი გერმანიაში ძალად გარეკილი პირების მდგომარეობის შესახებ

ვაშინგტონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენცია) გამოაქვეყნა ტრუმენის 31 აგვისტოს წერილი ეიზენჰაუერისადმი, რომლითაც ტრუმენი აღნიშნავს, რომ ავსტრიასა და გერმანიაში მყოფ ძალად გარეკილ პირთა მდგომარეობა არ შეესაბამება პოტსდამში შემუშავებულ პოლიტიკას, და მოუწოდებს ეიზენჰაუერს იხმაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა აიძულოს მისი ხელქვეითნი კონცენტრაციული ბანაკებიდან გაათავისუფლონ ძალად გარეკილი პირები და საერთოდ გააუმჯობესონ მათი მდგომარეობა.

თეთრმა სახლმა აგრეთვე გამოაქვეყნა ამერიკის სპეციალური წარმომადგენლის ჰარისონის ანგარიშის ტექსტი იმ პირობებისადმი მისი პირადი დაკვირვების შესახებ, რომლებშიც ძალად გარეკილი პირები იმყოფებიან, კერძოდ, ავსტრიასა და გერმანიაში.

ტრუმენის წერილი ეიზენჰაუერს გაეგზავნა ჰარისონის ანგარიშის ასლთან ერთად. წერილში ნათქვამი იყო, რომ ამერიკელმა ოფიცრებმა სახლები უნდა ჩამოართვან გერმანელ მოქალაქეებს, რათა იქ მოათავსონ ძალად გარეკილი პირები და, ამრიგად, განახორციელონ პოტსდამის გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ გერმანელებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა არსებული მდგომარეობისათვის. ტრუმენმა მოიყვანა ჰარისონის განცხადება იმის შესახებ, რომ ამჟამად ამერიკელები, როგორც სჩანს, „ებრაელებს ისე ეპყრობიან, როგორც ნაცისტები ეპყრობოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ არ ხოცავენ. დიდძალი ებრაელობა საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფება ამერიკელთა სამხედრო დაცვის ქვეშ, სს-ელთა დაცვის ნაცვლად, და ეს იწვევს მოსაზრებას, ხომ არ იფიქრებს ყოველივე ამის მნახველი გერმანელი ხალხი, რომ ჩვენ ვატარებთ ნაცისტთა პოლიტიკას ან ყოველ შემთხვევაში ვითმენთ მას".

საფრანგეთის კანტონალური არჩევნების მე-2 ტურის წინასწარი შედეგები

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს კანტონალური არჩევნების მე-2 ტურის წინასწარ შედეგებს (1-ლი ტურის გათვალისწინებით) 3.028 ადგილიდან 2.487 ადგილის შესახებ. სოციალისტებმა მიიღეს 704 ადგილი, 1939 წელს კი ჰქონდათ 310. კომუნისტებს 1939 წელს ჰქონდათ 69 ადგილი, ამჟამად კი აქვთ 286. რადიკალ-სოციალისტებმა მიიღეს 491 ადგილი, 1939 წელს ჰქონდათ 856 ადგილი. სხვა მემარცხენე პარტიები ურთიერთ შორის იყოფენ 131 ადგილს მაშინ, როცა 1939 წელს მათ ჰქონდათ 102 ადგილი. ბოლოს, სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტიამ მიიღო 181 ადგილი. ზომიერებმა მიიღეს 393 ადგილი, 1939 წელს კი ჰქონდათ 372. ცენტრის პარტიები ან მემარჯვენეები ურთიერთ შორის იყოფენ 301 ადგილს, ომამდე კი ჰქონდათ 678 ადგილი.

ამერიკის საოკუპაციო ზონიდან გატანილი იქნება 11 ქარხანა

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ეიზენჰაუერის შტაბმა გასცა განკარგულება ამერიკის ზონიდან 11 სამრეწველო საწარმოს მოწყობილობის დამატებით გატანის შესახებ. მოწყობილობას გაიტანენ მაშინვე, როგორც კი მოკავშირეები გადასწყვეტენ საკითხს მისი დანიშნულების ადგილის შესახებ. წინანდელი განკარგულება გასატანად განზრახული საწარმოების დემონტაჟის შესახებ 5 ქარხანას შეიცავდა. ამჟამად ჩამოთვლილ საწარმოთა შორის არის 3 დაზგათმშენებელი ქარხანა, 3 ელექტრომრეწველობის ქარხანა, 1 ოპტიკური ქარხანა და 1 მოტორმშენებელი ქარხანა.

თვალსაჩინო ამერიკელი ადმინისტრატორები საბოტაჟს უწევენ „ი. გ. ფარბენინდუსტრის" წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „პ. მ." იუწყება ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა დღემდე გამოუქვეყნებელი განკარგულების შესახებ ამერიკის საოკუპაციო ზონაში „ი. გ. ფარბენინდუსტრის" საწარმოთა დემონტაჟის თაობაზე. სტატიის ავტორი სტოუნი ბრალად სდებს სამხედრო სამინისტროს, რომ იგი უგულებელჰყოფს ამ ბრძანებას და ისწრაფვის აღადგინოს „ი. გ. ფარბენინდუსტრი" იმის ნაცვლად, რომ ლიკვიდაცია უყოს მას. სტოუნის სიტყვით, სამხედრო მინისტრის თანაშემწე მაკლოი, ეიზენჰაუერის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი კლეი, პოლიტიკური მრჩეველი მერფი და გერმანიაში ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ჰილდრინგი სახელმწიფო დეპარტამენტის ხაზის საწინააღმდეგოდ გეგმავენ იმ ქიმიკატებისა და სასუქების ექსპორტის აღდგენას, რასაც „ი. გ. ფარბენინდუსტრის" საწარმოები ამზადებენ, და გერმანიაში გზავნიან სპეციალისტებს ამ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის ხელის შესაწყობად.



თბილისის სამხედრო ოლქის XX სპარტაკიადა. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სპარტაკიადის მონაწილეთა საზეიმო მარში; ქალთა შვედური ესტაფეტი; ნ ნაწილის მებრძოლნი ასრულებენ „ხორუმს".

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მახარაძის რაიონში

სასოფლო ჰიდროელსადგური

სოფელ ცხემლისხიდიდან ორ კილომეტრზე, მდინარე ნატანების შტოზე შენდება 90 ცხენისძალიანი ჰიდროელსადგური, რომელიც ენერგიას მიაწვდის სოფელ ცხემლისხიდისა და ბაღდადის კოლმეურნეობების აგურის, კრამიტისა და სახერხ ქარხნებს და კოლმეურნეთა ბინებს.

ჰიდროელსადგურის მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 28 წლისთავისათვის.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

წელს რაიონში მრავალშვილიან დედებს დახმარების სახით მიეცა 340.600 მანეთი. დახმარებას ღებს 261 მრავალშვილიანი დედა. სოფელ მელექედურში მცხოვრებმა ელენე ცხომელიძემ 13.500 მანეთი მიიღო, სოფელ მთისპირის მცხოვრებმა ქენია კამუშოვამ — 12 ათასი მანეთი.

მრავალი დედა დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. გმირი დედის წოდება მიენიჭა მარო ნაცვლაძეს (ს. მაკვანეთი) და ქიონია ბარამიძეს (ქ. მახარაძე); „სახელოვანი დედის" პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებულია ქ. მახარაძის მცხოვრები ლიუდმილა სალუქვაძე.

ქალაქის კეთილმოწყობა

ქალაქი მახარაძე სახეს იცვლის. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ცენტრალური ქუჩების მოასფალტების, ბაღებისა და სკვერების მოწყობის, სახლების შეკეთებისათვის. წელს ქალაქის გამშვენიერებისათვის ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე შენდება კაპიტალური შენობა საბავშვო ბაღისათვის. მომავალი წლიდან გაგრძელდება სახელმწიფო თეატრის მშენებლობა.

საინტერესო აღმოჩენები

1. ნამარხი თევზი

ამას წინათ უმცროსმა ლეიტენანტმა ფ. გოდოვანმა და აგრონომმა კ. ზალოზნიმ აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში მოიტანეს მათ მიერ სოფელ ეშერის (სოხუმის რაიონი) ახლო ნაპოვნი კირქვის ფილა, რომელზეც ამბეჭდილია დიდი თევზის სხეული. სიგრძე ანაბეჭდისა, რომელიც საუცხოოდ არის შენახული, ერთ მეტრზე მეტია. იგი მტაცებელი თევზისაა, რომელიც არსებობდა მესამეული პერიოდის დასაწყისში.

ეს ექსპონატი ორი მილიონი წლისაა.

2. უძველესი დროის ტყე და ტბა

წიწვიანი ხე-სოჭი, რომლის სიმაღლე 50 მეტრს აღწევს, იზრდება კავკასიის მთიან ადგილებში, ზღვის დონიდან სულ ცოტა 900 მეტრ სიმაღლეზე. იგი აგრეთვე გავრცელებულია შუა და ჩრდილოეთ ევროპასა და ციმბირში.

ამიტომაც დიდ ინტერესს იწვევს სოჭის აღმოჩენა ტორფნარის ნამარხებში სოხუმის მახლობლად, სოფელ ახალსოფლის მიდამოში, რომელიც ზღვის სანაპიროს დაშორებულია ორი კილომეტრით.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის მიერ წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ იქ, სადაც ამჟამად ციტრუსოვანი მცენარეები და პალმები ხარობენ, ოდესღაც სოჭის დიდი ტყე ყოფილა. ტყეში არსებულა ტბა, რომლის ფსკერზე თანდათანობით იქმნებოდა ტორფის ფენა. მასში ცვივოდნენ სოჭისა და ურთხელის ხეები. ფიქრობენ, რომ ეს ტორფნარი, რომლის სიღრმე ახლა 10 მეტრს აღწევს, წარმოიშვა დაახლოებით 50.000 წლის წინათ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ამ მიდამოებში მაშინ იყო მეტად მკაცრი ჰავა, რაც მით უმეტეს სარწმუნოა, რომ აღნიშნული პერიოდი ყინულოვან ხანას ემთხვევა.

უძველესი ხანის ტყისა და ტბის აღმოჩენა უდავოდ ინტერესს გამოიწვევს მეცნიერთა შორის.

ხუტა ბერულავა

ამზადებენ სამკურნალო მცენარეებს

ონი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). წარმატებით მიმდინარეობს სამკურნალო მცენარეების შეგროვება და დამზადება. წელს რაიონში უნდა დამზადდეს 3.000 კილოგრამი წითელი კავკასიური გვირილა, 500 კილოგრამი ჯადვარა, 2.300 კილოგრამი კატაბალახა, 200 კილოგრამი მოცვის ნაყოფი.

ამჟამად კავკასიური გვირილას დამზადების გეგმა შესრულებულია 148 პროცენტით, ჯადვარასი—122 პროცენტით, კატაბალახასი — 62 პროცენტით. დაწყებულია მოცვის ნაყოფის დამზადება.

სამკურნალო მცენარეების დამზადებისათვის აქტიურად მონაწილეობენ კომკავშირელები და პიონერები. კომკავშირელმა ნათელა ჭარელმა 30,5 კილოგრამი კავკასიური გვირილა, 5,1 კილოგრამი ჯადვარა და 8,3 კილოგრამი კატაბალახა შეაგროვა, თუთა გაგნიძემ კი—5,5 კილოგრამი ჯადვარა, 25,3 კილოგრამი კავკასიური გვირილა და 22 კილოგრამი კატაბალახა. ასეთივე წარმატებით იმუშავეს პიონერებმა გ. მაისურაძემ, თ. დაუშვილმა, მ. ჯოხაძემ, კომკავშირელებმა ვ. გაგნიძემ, ს. გლოველმა; ც. გვიმბრაძემ, წ. დაუშვილმა და სხვ.

ა. მურღულია

ლიტერატურულ მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი ამზადებს დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ გამოფენას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ყველა მასალა. ცალკე სტენდები დაეთმობა ბარათაშვილის ბავშვობას, მის წინაპრებს, პოეტის გენეალოგიას. ფართოდ იქნება ნაჩვენები ბარათაშვილის დროინდელი თბილისი.

ცალკე განყოფილება ასახავს გიმნაზიაში პოეტის ყოფნის პერიოდს. აქ იქნება პოეტის მასწავლებლებისა და მეგობრების — მელიქიშვილის, მამაცაშვილის და სხვათა ფოტოსურათები. ერთი სტენდი დაეთმობა თემას — 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი და ბარათაშვილი. აქვე იქნება წარმოდგენილი მასალები ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ — სამსახური ნახჭევანში, პოეტი განჯის მაზრის უფროსის თანაშემწედ, მისი ავადმყოფობა და გარდაცვალება, ნეშტის გადმოსვენება თბილისში და შემდეგ დიდუბიდან მთაწმინდაში.

მუზეუმის ოთახებში გამოფენილი იქნება ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური და სხვა ხასიათის გამოცემანი, პოეტის ლექსების თარგმანები, სურათები, ნივთები.

ეთნოგრაფიული ექსპედიციები მთიულეთსა და ზემო-სვანეთში

მთიულეთიდან დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ მოწყობილი გაერთიანებული ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი გ. ჩიტაია. ექსპედიციაში მონაწილეობდა შვიდი მეცნიერი თანამშრომელი და ორი მხატვარი.

ექსპედიციამ იმუშავა ხადას, ცხავატის, გუდამაყრისა და ჭართლის ხეობებში და შეისწავლა ამ ადგილების ყოფაცხოვრება — დასახლების ტიპები, ნაგებობები, მეურნეობის ძველი ფორმები, ხის, ქვის, ლითონის, რქისა და ქსოვილის დამუშავება, გადასაზიდი და გადასაყვანი საშუალებები და სხვ. ექსპედიციის მიერ ჩაწერილია მთელი რიგი ეთნოგრაფიული მოვლენები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების შესასწავლად. ეს გამოკვლევანი ნათელს ჰფენენ სახელდობრ საკვლევი რაიონის უძველესი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ფშაური გუთნის წარმოშობას და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის ექსპედიციამ ჩამოიტანა: სახვნელი იარაღები, ხის, ლითონის, ქვისა და ქსოვილების დასამუშავებელი ხელსაწყოები, ხალხური ხელოვნების ნიმუშები, კერძოდ ძვირფასი ორნამენტები ხეზე და სხვ. ექსპედიციამ გამოავლინა ქსოვილებისა და ხის დამუშავების მნიშვნელოვანი ახალი ცენტრები და აღრიცხა ქსოვისა და ხის დამუშავების საუკეთესო ოსტატები. დამზადებულია ძველი და ახალი ყოფის დამახასიათებელი ობიექტების მრავალი ფოტოსურათი, განაზომი და ჩანახატი.

* * *

დაბრუნდა აგრეთვე ზემო-სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ა. რობაქიძე), რომელშიაც შედიოდა ხუთი მეცნიერი თანამშრომელი და მხატვარი. ექსპედიციამ იმუშავა ზემო-სვანეთის ბალსზემო ნაწილში, სახელდობრ: ლენჯერსა, მესტიასა, იფარსა, კალასა და უშგულში და შეკრიბა ახალი ეთნოგრაფიული მასალა სვანეთის ძველი ყოფის შესახებ.

დაგროვებულია საინტერესო მასალა სვანების ძველი სოციალური ურთიერთობიდან. შესწავლილია სვანეთის სახევო საბჭოს ძირითადი სტრუქტურა. დადგენილია ფიცის დადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი. დადასტურდა, რომ ძველად სვანეთში განვითარებული იყო ოქროს მოპოვება და ვერცხლის ჭედვა.

ექსპედიცია აგროვებდა მასალებს სვანური მეფუტკრეობის უძველესი ფორმების შესახებ. შესწავლილ იქნა სვანური გეჯა (საფუტკრე), რომელსაც საკუთარი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. გამოირკვა, რომ ბალსზემო სვანეთში თაფლის დაწურვის თავისებური წესები ჰქონდათ. დადგენილია ფუტკართან დაკავშირებული რელიგიური წარმოდგენები და თაფლის სამკურნალო მიზნით გამოყენების საინტერესო ფაქტები. აღნიშნულია ბალსზემო სვანეთის კოშკები და ჩაწერილია კოშკების მნიშვნელობასთან დაკავშირებული ხალხური თქმულებები.

ექსპედიციამ შეისწავლა სვანური ფოლკლორის მასალა და გაარკვია სვანური ზღაპრის ტრადიციები.

მთელი მასალა ილუსტრირებულია ჩანახატებითა და ფოტოსურათებით.

ექსპედიციებს მუშაობაში დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

სახელმწიფო ცირკში

6 და 7 ოქტომბერს სახელმწიფო ცირკში შესდგება მუსიკალური კომედიის ქართული თეატრის ორი სპექტაკლი. წარმოდგენილ იქნება ცნობილ აზერბაიჯანელ კომპოზიტორ ჰაჯიბეკოვის ოპერეტი „არშინ-მალ-ალან" რესპუბლიკის სახალხო არტისტების ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და ლადო კავსაძის მონაწილეობით.

მესამე მოქმედებაში—სტუმრად ასკერთან—შესდგება საკონცერტო დივერტისმენტი. მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ხარაძე, რომელიც შეასრულებს არიებს ოპერეტებიდან, და სახელმწიფო ოპერის სოლისტი ბ. კრავეიშვილი, რომელიც იმღერებს „პროლოგს" ოპერა „ჯამბაზებიდან".

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს" გამარჯვება

1 ოქტომბერს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა „სსრ კავშირის თასის" გათამაშების მორიგი შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

თამაშის პირველი წუთები მიმდინარეობდა ორივე გუნდის ცვალებადი უპირატესობით. ტაიმის შუა წუთებიდან ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და 26-ე წუთზე პირველი ბურთი მოათავსეს მოსკოველთა კარში. სამი წუთის შემდეგ მ. ბერძენიშვილისაგან მიწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა ა. ხარბედიამ და მეორე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მოსკოველებმა მხოლოდ ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე შესძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში, მიუხედავად „სპარტაკის" დიდი უპირატესობისა, ანგარიში აღარ შეცვლილა. თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში მოსკოველები არ მოსცილებიან „დინამოელთა" საჯარიმო მოედანს, მაგრამ სალდაძის, კიკნაძისა და განსაკუთრებით მეკარე შუდრას ენერგიულმა და მონდომებულმა თამაშმა მათ საშუალება არ მისცა მიეღწიათ გამარჯვებისათვის.

კალათბურთი

დამთავრდა კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში კიროვის სახელობის პარკის სასპორტო მოედანზე 20-დან 26 სექტემბრამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 გუნდი.

ვაჟთა გუნდებს შორის პირველ ჯგუფში გაიმარჯვა და 1945 წლის საქართველოს ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონმა—წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა, რომელმაც მოიგო ექვსივე შეხვედრა. გუნდის შემადგენლობაში შედიან: ძეკონსკი, ჯორჯიკია, ფილიპოვი, სარქისოვი და ოგანეზოვი.

პირველ ჯგუფში მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის „დინამო", ხოლო მესამეზე — ქუთაისის „დინამო".

მეორე ჯგუფში პირველობა მოიპოვა ბათუმის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის საქართველოს ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა თბილისის „დინამომ". მეორე ადგილზე გამოვიდა წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდი.

ა. გოგოლაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 3/X—„ფაუსტი", 4/X—„ქეთო და კოტე". **რუსთაველის სახელობის** — 3/X — „სამშობლო", 4/X—„ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის** — 3/X—„ბაგრატიონი", 4/X—„პირველი ცოლის მორჯულება". **გრიბოედოვის სახელობის** — 3, 4/X—„ასეც იქნება". **სომხური** — 3/X—„ქაოსი", 4/X—„დიდი ქორწილი".

კინოებში

3 ოქტომბერს: **რუსთაველის სახელობის** — „მისი მსახურის და". **ოქტომბერი**—„დიდი ვალსი". **დამკვრელი** (საზაფხულო)—„სიმღერა რუსეთზე", (ზამთრის)—„ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება". **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის)—„ცირკი". **სპარტაკი** — „საზღვაო საგუშაგო". **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო)—„დღეები და ღამეები", (ზამთრის)—„დიდი ცხოვრება".

მოქალაქე **რიზა მამედის-ძე ხარნადიმ,** მცხოვრებმა ტაგიზადეს ქ., № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **საკინა ირზას-ასულ რიზაევასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის კიროვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 23 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მარის ქ. № 1) № 120 აუდიტორიაში გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე გეოლოგიურ და მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ინჟინერი გეოლოგი **სავლე სიმონის-ძე ჩიხელიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ძირულის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის გეოლოგიური აგებულება".**

ოფიციალური ოპონენტები 1. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ი. ბ. კაჭარავა,** 2. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ს. ძოწენიძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, (მარის ქ. № 1).

დირექცია

5 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) შესდგება საქართველოს სს რესპუბლიკის შემნახველი სალაროების მომგებიანი ანაბრების მეექვსე ტირაჟი.

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მეანაბრენი, რომელთაც მომგებიანი ანაბრების ანგარიშებზე ექნებათ ანაბრის ნაშთი 1945 წლის 1 ოქტომბრისათვის.

ტირაჟზე დასწრება მოსაწვევი ბილეთებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

დედა ეფროსინე, მეუღლე მარგო შვილებით, ძმები კირილე, ნიკიფორე ცოლშვილით იუწყებიან **ვიქტორ (ისილო) ივანეს-ძე ხადრაძის** გარდაცვალებას.

და ავდოტია ლეონტის-ასული კუჭაიძე და უახლოესი მეგობრები იუწყებიან, რომ 7/X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება **გრიგოლ ლეონტის-ძე კუჭაიძის** პანაშვიდი.

საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურის თანამშრომლები იუწყებიან ო. ლამბაშიძის დედის **ვასასი ლამბაშიძის** გარდაცვალებას.

მშობლები სოფიო, ნიკოლოზ, მეუღლე დუსია, შვილები ლიდა, ანატოლი, ელენე, მარო, ძმა კონსტანტინე, სიძეები ს. ქახულოვი, მ. თავდიშვილი იუწყებიან **ნიკოლოზ ჯიოევის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/X, 5 ს. ხრესილის, 20.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ კვირას, 7/X, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე მწერალთა პანთეონში დანიშნულია მწერალი ქალის **ქეთევან ნიკოლოზის-ასულ ირემაძის** პანაშვიდი.

შვილები გრიგოლ, საშა, თინა, საბა, თამარ ოჯახებით იუწყებიან **ფედოსია რაჟდენის-ასულ ტორაძის** გარდაცვალებას.

შვილი თამარ, სიძე მიხეილ, შვილიშვილი ირმა ჩხეიძეები იუწყებიან **ლუბა ჩიხლაძე-ფხაკაძის** გარდაცვალებას

პაპასი, კონსტანტინე, სოსო შუბაშვილები იუწყებიან **დანიელ ყიფიანის** გარდაცვალებას.

სერგო ბაქრაძე ცოლშვილით იუწყება მამის **კონსტანტინე როსტომის-ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის —3.51.81, სტამბის დირექტორის — 3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 08015